პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: პასუხ. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—22—17, სამდივნოსი 10—58, მთ. კანტორის—8—31.

ხუთშაბათი, 6 ივლისი 1933 წ. № 154 (3710)

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების საქმეში

„არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული არავითარი გადახრა მარცვლეულის ვადაზე ჩაბარების ვალდებულებებისაგან“

(საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილებიდან)

ს. ს. რ. კ-ს კონსტიტუციის მეათე წლისთავი

დღეს, 6 ივლისს, სრულდება მეათე წლისთავი სსრკ-ის 1 მოწვევის ცაკის მე-2 სესიის მიერ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მიღებიდან და ამოქმედების დაწყებიდან. ამ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტის მიღებით, რომელიც შემდგომ დაადასტურა სსრკ-ს საბჭოთა მე-2 ყრილობამ 1924 წლის იანვრის 31-ს, დამთავრებულ და საბოლოოდ გაფორმებულ იქნა დაარსება საბჭოთა კავშირისა, როგორც მთლიანი საკავშირო სახელმწიფოსი. ეს სახელმწიფო უნდა „განვითარებულიყო ისეთ საერთაშორისო ძალად, რომელიც შესძლებდა ზეგავლენა მოეხდინა საერთაშორისო განწყობილებაზე, შესძლებდა შეეცვალა იგი მშრომელთა ინტერესების მიხედვით“ (ამხ. სტალინის მოხსენებიდან სსრკ-ს საბჭოთა პირველ ყრილობაზე 1922 წლის 30 დეკემბერს).

სსრკ-ს კონსტიტუციის მიღება და მასში ყველა ეროვნების მშრომელთა თანამშრომლობის პრინციპების განხორციელება წინასწარ ნაგულისხმევი იყო მუშათა კლასის და მისი ავანგარდის, კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის მთელი არსებით. რუსეთის კომპარტიის (ბ) მე-12 ყრილობის რეზოლუციაში, რომელიც მიღებულ იქნა ნაციონალური საკითხის შესახებ, ამ საკითხის ისტორია შემდეგნაირად არის გადმოცემული: „ჯერ კიდევ თავისი არსებობის პირველ დღეებში, თავის პირველ ყრილობაზე (1898 წელს), როდესაც კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს ეროვნული საკითხის ხაზით ჯერ კიდევ არ ეწინათ თავი ამომწურავი სისავსით, პარტიამ აღიარა ეროვნებათათვის ეს განუსხვისებელი უფლება (ე. ი. ერთა თვითგამორკვევის უფლება, უფლება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობისა).

შემდგომ ხანებში პარტია გამუდმებით ადასტურებს თავის ნაციონალურ პროგრამას თავის ყრილობებსა და კონფერენციებზე გამოტანილ სპეციალურ გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებში და ეს გრძელდება ოქტომბრის გადატრიალებამდის. ამ გადაწყვეტილებათა აზრი შემდეგია:

ა) ეროვნებათა მიმართ იძულების ყველა და ყოველგვარი ფორმის გადაჭრით უარყოფა; ბ) თავისი ბედის გადაწყვეტის საქმეებში ხალხთა თანასწორობისა და სუვერენობის აღიარება; გ) იმ დებულების აღიარება, რომ ხალხთა მტკიცე გაერთიანება შეიძლება გატარებულ იქნას მხოლოდ თანამშრომლობისა და ნებაყოფილობის საწყისთა მიხედვით; დ) იმ ჭეშმარიტების აღიარება, რომ ამგვარი გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალის ხელისუფლების დამხობის შედეგად“.

ამ ერთხელ დადგენილი პრინციპებისათვის ბოლშევიკურ პარტიას თავისი არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევია. მან ეს პრინციპები დაიცვა და ათასგვარ ოპორტუნისტულ გადახრათა და დამახინჯებათა წინააღმდეგ გაფიცხებულ ბრძოლაში.

ოქტომბრის რევოლუციის უშუალოდ წინა ხანებში, 1917 წლის აპრილს, ამხ. ლენინი სწერდა: „ნაციონალურ საკითხში პროლეტარულმა პარტიამ უნდა დაიცვას, უწინარეს ყოვლისა, გამოყოფის სრული თავისუფლების აღიარება და დაუყოვნებლივი განხორციელება.

პროლეტარული პარტია ცდილობს შექმნას რაც შეიძლება უფრო მსხვილი სახელმწიფო, ვინაიდან ეს ხელსაყრელია მშრომელთათვის. იგი ცდილობს ეროვნებათა დაახლოვებასა და შემდგომ შედუღებას. მაგრამ ამ მიზნის მიღწევა მას სურს არა ძალადობით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ყველა ერთა მუშებისა და მშრომელი მასების თავისუფალი, ძმური კავშირის გზით...

გამოყოფის სრული თავისუფლება, ფრიად ფართო ადგილობრივი (და ნაციონალური) ავტონომია, ეროვნული უმცირესობის უფლებათა დეტალურად დამუშავებული გარანტიები — აი, ასეთია რევოლუციური პროლეტარიატის პროგრამა“.

პროლეტარიატის დიქტატურის დროს ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა, დამყარებული ეროვნებათა თვითგამორკვევისა და თანასწორუფლებიანობაზე, აუცილებლად იწვევს მთლიანი, მსხვილი, მტკიცე მრავალერიანი სახელმწიფოს შექმნის საჭიროებას; ეს სახელმწიფო აგებული უნდა იყოს სწორუფლებიანი ერების ნებაყოფილობითი ფედერატიული კავშირის, პროლეტარულ დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზე.

„...ფედერაცია, — სწერდა ლენინი 1918 წლის მარტს (თხზ. XXII ტომი, გვ. 415—416), — თუ კი იგი გატარებულია ეკონომიური თვალსაზრისით გონიერ ფარგლებში, თუ კი იგი ემყარება ისეთ სერიოზულ ნაციონალურ განსხვავებებზე, რაიც მოითხოვს ერთგვარი სახელმწიფოებრივი განცალკევების ნამდვილ აუცილებლობას, — ფედერაციაც კი, სრულიად არ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ცენტრალიზმს... ფედერაცია, რომელსაც ჩვენ ვქმნით და რომელსაც შევქმნით, იქნება სწორედ უსაიმედოესი ნაბიჯი რუსეთის სხვადასხვა ეროვნების ყველაზე მტკიცე გაერთიანებისათვის ერთ დემოკრატიულ ცენტრალიზებულ საბჭოთა სახელმწიფოში“.

რეზოლუციაში, რომელიც მიღებულ იქნა 1921 წ. რ. კ. პ. (ბ) მე-10 ყრილობის მიერ ნაციონალურ საკითხში პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ, ნათქვამია:

„საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია, სამხედრო და სამეურნეო საქმის ერთიანობაზე, წარმოადგენს სახელმწიფოებრივი, კავშირის იმ ზოგად ფორმას, რომელიც იძლევა საშუალებას: ა) უზრუნველვყოთ როგორც ცალკე რესპუბლიკების, ისე მთელი ფედერაციის მთლიანობა და სამეურნეო განვითარება; ბ) მოვიცვათ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ერების და ხალხების ყოფა, კულტურის და ეკონომიური მდგომარეობის მთელი მრავალფეროვნება და ამის შესაბამისად შემოვიღოთ ამა თუ იმ სახის ფედერაცია; გ) მოვაგვაროთ იმ ერების და ხალხების მშვიდობიანი თანაცხოვრება და ძმური თანამშრომლობა, რომლებმაც თავისი ბედი ასე თუ ისე დაუკავშირეს ფედერაციის ბედს“.

მაგრამ საბჭოთა ფედერაციის შექმნა არ შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ მშრომელ ეროვნებათა თვითგამორკვევის თვალსაზრისით. ძირითადი და გადამწყვეტი მომენტი საბჭოთა ფედერაციის სახელმწიფოს შექმნაში იყო და არის მშრომელთა სახელმწიფოს აგება, ერთა შორის ისეთი კავშირის დამყარება, რომელიც ხელს შეუწყობდა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას კომუნისტური საზოგადოების აშენებაზე გადასვლის პერიოდში.

„უნდა გვახსოვდეს — თქვა ამხ. სტალინმა რ. კ. პ. (ბ) მე-12 ყრილობაზე 1923 წელს, — რომ, გარდა ხალხების თვითგამორკვევის უფლება, არის კიდევ მუშათა კლასის უფლება, განამტკიცოს თავისი ხელისუფლება, და ამ უკანასკნელ უფლებას ექვემდებარება თვითგამორკვევის უფლება“.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიღებას წინ უძღოდა საბჭოთა კავშირის მთელი რიგი ისტორიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ მის შინაარსს პროლეტარული დიქტატურის არსებობის დასაწყისიდანვე. საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე პირველ დეკრეტში, რომელიც მიღებულ იქნა საბჭოების მეორე ყრილობის მიერ 1917 წლის 26 ოქტომბერს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის შესახებ, ლაპარაკი იყო ერების თვითგამორკვევის უფლებაზე.

„რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაცია“, რომელიც მიღებულ იქნა 1917 წლის 2 ნოემბერს და გამოქვეყნდა ამხ. ლენინის და სტალინის ხელის მოწერით, ყოფილი მეფის რუსეთის ხალხთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებასთან ერთად, ხაზგასმით იყო აღნიშნული აგრეთვე, „რუსეთის ხალხთა პატიოსანი და მტკიცე კავშირის“ აუცილებლობა. „მხოლოდ ამ კავშირის შედეგად, — ნათქვამი იყო დეკლარაციაში, — შეიძლება შედუღებულ იქნან რუსეთის ხალხთა მუშები და გლეხები ერთ რევოლუციურ ძალად, რომელსაც შეეძლება გაუძლოს ყოველგვარ თავდასხმას იმპერიალისტურ - ანექსიონისტური ბურჟუაზიის მხრით“.

„რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაციასთან“ ერთად მეორე ისტორიულ აქტს, რომელიც წინ უძღოდა კონსტიტუციის მიღებას და რომელმაც განსაზღვრა მისი შინაარსი, წარმოადგენდა „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია“, დამტკიცებული სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის მიერ 1918 წლის იანვარში. იმავე წლის ივლისს საბჭოთა მეხუთე ყრილობამ დაამტკიცა პირველი საბჭოთა კონსტიტუცია—რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის კონსტიტუცია.

„რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაციასთან“ სრული შეფარდებით, უკრაინის დროებითმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ 1919 წლის 28 იანვარს გამოაქვეყნა დეკლარაცია უკრაინის ს. ს რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთთან გაერთიანების შესახებ სოციალისტური ფედერაციის საფუძველზე. იმავე წლის 1-ლ ივლისს, ემყარებოდა რა მთელი რიგი საბჭოთა რესპუბლიკების მიერ გამოთქმულ ნებასურვილს, რუსეთის ცაკი აქვეყნებს დეკრეტს „რუსეთის, უკრაინის, ლატვიის, ლიტვის და ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ მსოფლიო იმპერიალიზმთან საბრძოლველად“. მაგრამ ეს გაერთიანება 1919 წელს ვერ განხორციელდა, რადგან, რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის გამოკლებით, ყველა დასახელებული საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიები თეთრების მიერ იყო დაპყრობილი.

მხოლოდ 1920 წლის იანვარს კვლავ შეიქმნა შესაძლებლობა, სრულიად უკრაინის რევკომის ინიციატივით, აღდგენილიყო უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის და რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის გაერთიანება. დადებული იქნა „საკავშირო მუშურ-გლეხური ხელისუფლება რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკასა და უკრაინის ს. ს. რესპუბლიკას შორის ძალების დასარაზმავად თავდაცვის მიზნით, აგრეთვე ორივე რესპუბლიკის სამეურნეო მშენებლობის ინტერესებისათვის“.

უკრაინის შემდეგ ანალოგიური ხელშეკრულებანი რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკასთან დასდვეს სხვა საბჭოთა რესპუბლიკებმაც — აზერბეიჯანმა, ბელორუსიამ, სომხეთმა და საქართველომ. კრავდენ რა სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკასთან, ისინი ამასთან ინარჩუნებდენ მთელ თავის დამოუკიდებლობას ნაციონალური მხრით. უკვე ამ ხელშეკრულებებმა განსაზღვრეს აუცილებლობა შემდეგი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საერთო გაფორმებისა ერთი საკავშირო ხელშეკრულებაში, რაც კიდეც განხორციელებულ იქნა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიღებით 1923 წლის 6 ივლისს.

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის აგებულება, როგორც იგი ჩაწერილია საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში, მთლიანად ემყარება ვლადიმერ ილიჩ-ძე ლენინის მითითებებს. მასვე ეკუთვნის თვით საბჭოთა კავშირის სახელწოდებაც—„საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი“, რომელიც მოგვცა მან ჯერ კიდევ 1919 წელს წერილში „დიდი თაოსნობა“ (ტ. 24, გვ. 342).

განსაკუთრებული როლი საბჭოთა კავშირის და მისი კონსტიტუციის შექმნის საქმეში ეკუთვნის ამხ. სტალინს. სწორედ ამხ. სტალინი გამოდიოდა მომხსენებლად საბჭოთა კავშირის საბჭოების პირველ ყრილობაზე 1922 წლის 30 დეკემბერს იმ რესპუბლიკათა დელეგაციების სახელით, რომლებმაც მოაწერეს ხელი დეკლარაციას და ხელშეკრულებას საბჭოთა სოც. რესპუბლიკათა კავშირის შექმნის შესახებ. ამხ. სტალინი გამოდიოდა აგრეთვე მომხსენებლად პარტიის მე-12 ყრილობაზე 1923 წლის აპრილს ნაციონალურ საკითხზე და საბჭოთა ს. რ. კავშირის შექმნის საკითხზე; ამასთან ერთად მან მოგვცა მთელი რიგი ძირითადი დებულებანი, რომლებიც განსაზღვრავენ ს.ს.რ. კავშირის ხასიათს და მთელ შინაარსს. კერძოდ, სწორედ ამხ. სტალინმა შეიტანა მე-12 ყრილობაზე წინადადება: „საკავშირო ცაკის შემადგენლობაში დაწესდეს ორი პალატა, რომელთაგან ერთი არჩეულ უნდა იქნას საბჭოების საკავშირო ყრილობაზე, ეროვნებათა დამოუკიდებლად, ხოლო მეორე პალატა არჩეულ უნდა იქნას რესპუბლიკებისა და ოლქების მიერ (რესპუბლიკები თანაბრად და ნაციონალური ოლქებიც თანაბრად) და უნდა დამტკიცოს რესპუბლიკათა კავშირის საბჭოების იმავე ყრილობამ... მაშინ ჩვენი უზენაეს დაწესებულებების შემადგენლობაში ჩვენ გვექნება არა მარტო უკლებლივ ყველა პროლეტარული ჯგუფის კლასობრივი ინტერესების გამოხატულება, არამედ წმინდა ნაციონალური მოთხოვნილებათა გამოხატულებაც“. საბჭოთა კავშირის ცაკის ორპალატიანი სტრუქტურა მიღებულ იქნა და შემდეგში მან სავსებით გაამართლა თავისი თავი.

ამხ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, ლენინის პირდაპირი მითითებათა საფუძველზე, მარქსის და ლენინის მოძღვრებასთან სრული შეფარდებით—შეიქმნა საბჭოთა ს.რ. კავშირის კონსტიტუცია.

ამჟამად კონსტიტუციის მიღების მე-10 წლის თავზე საბჭოთა კავშირი წარმოადგენს 7 დიდი მოკავშირე რესპუბლიკას, 19 ავტონომიური და ხელშეკრულებითი რესპუბლიკის და ოლქის და 15 ავტონომიური ოლქის მძლავრ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას. მაგრამ აღნიშნულ ნაციონალურ-ტერიტორიალური ერთეულების არსებობით არ ამოიწურება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით უზრუნველყოფილ იმ ეროვნებათა თანასწორუფლებიანობა, რომლებიც დასახლებული არიან მის ტერიტორიაზე. საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო გადაეჭრა დაქუცმაცებულ ნაციონალურ უმცირესობათა ეროვნული თვითგამორკვევის რთული საკითხი საბჭოთა კავშირის ცალკე რესპუბლიკების შემადგენლობაში, მთელი რიგი ნაციონალური ოლქების, რაიონების და სასოფლო საბჭოების გამოყოფის გზით. მაგალითად, მარტო რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში, გარდა 12 ავტონომიური რესპუბლიკისა და 14 ავტონომიური ოლქისა, გარდა დიდძალი ნაციონალური ოლქებისა ([illegible]), მოიპოვება 97 ნაციონალური რაიონი და დაახლოებით 1.700 ნაციონალური სასოფლო საბჭო. გასული ათი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნებამ რომლებიც თავისუფალი არიან თავის ნაციონალურ-კულტურულ და პოლიტიკურ-ეკონომიურ განვითარებაში, განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს სხვადასხვაგვარ კულტურულ დაწესებულებათა გრანდიოზული რიცხვობრივი ზრდა.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის არსებობის პირველი ათი წლის შედეგად ჩვენ ვხედავთ, რომ განუზომლად განმტკიცდა საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობის მხრით. იმ დროს, როცა კაპიტალისტურ მსოფლიოში სულ უფრო და უფრო ღვივდება ნაციონალური შუღლი და იზრდება დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების—მტაცებლების გაფართოებული მისწრაფება სხვა ხალხთა დაჩაგვრისა და დამონებისაკენ იმ დროს, როცა კაპიტალისტური სახელმწიფოები ინგრევიან უმაგალითო ეკონომიური კრიზისის ზეგავლენით, საბჭოთა კავშირი აღმართულია როგორც მიუდგომელი კლდე, როგორც სხვადასხვა ტომის, ერთად შემოდუღებულ პროლეტარების ახალი ქვეყნის და ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებელი პროლეტარების მძლავრი საერთაშო- [illegible]

პარტიის დირექტივა უხეშად მახინჯდება

(სიღნაღი, ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ასჯერ ითქვა და ათასჯერ განმეორდა, რომ პური სახელმწიფოს უნდა მიეცეს პირველად გალეწილი. მოსავლიდან, რომ პირველი მარცვალი უთუოდ ჩაბარების ნორმის შესრულებას უნდა მოხმარდეს. გარდატეხაც დიდია ამ მხრივ. სიღნაღის რაიონში გადაჭრით ტარდება პარტიის ეს დირექტივა.

მაგრამ არიან თითო-ოროლა ისეთი მუშაკებიც, რომლებზედაც ყოველგვარი მითითება ისე მოქმედებს, როგორც ცერცვი კედელზე. საერთო ფრონტი, როგორც უკვე ვწერდით, სოფელ საქობოს კოლმეურნეობამ გაარღვია: **იქ 300 ფუთი ახლად გალეწილი პური. სახელმწიფოსათვის ჩაბარების ნაცვლად თვითვე დაინაწილეს.**

ცუდი საქციელიც ზოგჯერ გადამდებია. საქობოს კოლმეურნეობას პარტიის ხაზის უხეშად დამახინჯებაში გამოეხმაურა სოფელ ვაქირის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარის **ალექსანდრე ბუთლიაშვილის** განკარგულებით პირველად გალეწილი 120 ფუთი პური ადგილზევე განაწილეს კოლმეურნეთა შორის. კოლმეურნეობის საწყობის გამგე **გიორგი ვარდიაშვილმა** სცადა წინააღმდეგობა გაეწია. თავმჯდომარის უკანონო მოქმედებისათვის, მაგრამ ბუთლიაშვილმა ჩამორჩენილ კოლმეურნეთა დახმარებით თავისი გაიტანა.

ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ რაიონის მიწგანის გამგე **ალექსი ზაიდოშვილი** სრულიად გულდამშვიდებით მისჩერებია ვაქირის კოლმეურნეობის მიერ დაშვებულ შეცდომას.

— ვის რა უნდა?—ამბობს ის,— გეგმით პურის ჩაბარების ვადა ჩვენს რაიონში გათვალისწინებულია 15 აგვისტომდე. კოლმეურნეობები პირველ აგვისტომდე ჩაგვაბარებენ პურს.

ესე იგი რათ გვინდა პარტიის დირექტივა, საკმარისია მიწგანის გამგის პატიოსანი სიტყვა; რათ ვაწარმოებთ გაშლილ კამპანიას პურის ჩაბარების განხორციელებისათვის პარტიის მიერ მოცემული გზით! ამხ. ზაიდოშვილი იმდენად კეთილი და თავდადებული კაცია, რომ ყველაფერს ჩვენს მაგიერ გააკეთებს.

ეს ხდება მაშინ, როცა ორი ივლისს სიღნაღის რაიონის პარტკონფერენციაზე, ამ კონფერენციამდე და მის შემდეგაც უჯრედთა მდივნებს, გადაჭრით აფრთხილებდენ რაიკომის მუშაკები და პოლიტგანყოფილება, რომ პირველი მცნებაა — პურის ჩაბარების ნორმების შესრულებაა.

ქიზიყში ამ მიმართულებით დიდი გარდატეხა მოხდა. კოლმეურნეებს უმეტეს შემთხვევაში პური კალოდან სახელმწიფო ბეღლებში მიაქვთ. ამან ერთგვარი თვითკმაყოფილების განწყობილებაც კი შექმნა ზოგიერთებში და მათ შორის უთუოდ იმსხვერპლა სიღნაღის მიწგანის გამგეც.

ის დამშვიდებული და დაიმედებულია, რომ მარცვლეულის ჩაბარების გეგმა 1 ივლისამდე უთუოდ შესრულდება. რატომ არ შეგვიძლია გამონაკლისი დავუშვათ სიღნაღის რაიონისთვის და პურის მოსავალი ვანაწილოთ ისე, ვისაც როგორ დაუჯდება ჭკუაში.

ასეთ განწყობილებას უნდა დავარტყათ მთელი სისასტიკით და, დაუზოგავობით, ასეთი განწყობილების მატარებელნი უნდა დაისაჯონ სამაგალითოდ პარტიისა და მთავრობის დირექტივების დარღვევისათვის.

აკაკი ჟუნია.

არღვევენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას პურით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ

(ლაგოდეხი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ლაგოდეხის რაიონში ხორბლეულის აღების კამპანია დასასრულს უახლოვდება. კოლმეურნეობებში მოსავლის აღება უნდა დამთავრდეს 6 ივლისს, ხოლო ინდივიდუალურ მეურნეობებში — 10 ივლისს. მოსავლის აღების ბოლშევიკურად ჩატარებასთან ერთად, რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების პირველ ვალდებულებას შეადგენს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმის ვადაზე და უკლებლივ შესრულება.

თუ საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 20 ივნისის დადგენილებით პურის ჩაბარების გადამწყვეტ თვეებათ აღიარებულია ივლისი, აგვისტო და სექტემბერი, ლაგოდეხის სინამდვილეში მარცვლეულის ჩაბარებაში გადამწყვეტი თვეა ივლისი და აგვისტო. რაიონმა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება უნდა დაამთავროს 15 აგვისტომდე.

სამწუხაროთ რაიონში ზოგიერთებს ავიწყდებათ, რომ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება —პირველი მცნებაა. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნათ ის გარემოება, რომ ბაზარზე თავისუფლად არის დაშვებული პურით ვაჭრობა და სპეკულიაცია. მაგ.: კვირას, 2 ივლისს რაიონის ცენტრის, ლაგოდეხის ბაზარზე აუარებელი ხორბლეული და ფქვილი იყიდებოდა. პურს ჰყიდდენ, როგორც კოლმეურნეები ისე ინდივიდუალური გლეხები. ხორბლეული გააქვთ აგრეთვე სხვა რაიონებშიაც. ამ გარემოებას სჩანს არ აქცევს ყურადღებას არც რაიაღმასკომი და მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

ლაგოდეხის რაიონის ზოგიერთ ხელმძღვანელ ამხანაგს არა აქვს სწორი წარმოდგენა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 20 ივნისის დადგენილებაზე, რომელიც პურით ვაჭრობის აკრძალვას ეხება. ამ დადგენილებაში ნათქვამია: „შეწყდეს საკოლმეურნეო და ინდივიდუალური ვაჭრობა პურით, აგრეთვე მარცვლეულის შესყიდვა პურის შემსყიდველი გაერთიანებების მიერ შუა-აზიის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში 1933 წლის 25 ივნისიდან“—და სხვ. საჭიროა ამ დადგენილების ფართო პოპულარიზაცია და მთელი ძალების დარაზმვა იმისათვის, რომ ეს კანონი ურყევად გატარდეს ყველგან და ამ შემთხვევაში ლაგოდეხის რაიონის ყველა სოფელშიც. საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება პურის სპეკულიანტების ასალაგმავად, რომელიც ლაგოდეხის რაიონის სოფლებში დაძრწიან.

შ. ქინქლაძე.

ყურადღება არ ექცევა სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშაობის ანაზღაურებას ნატურით

(გორი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

კოლმეურნეობათა მიერ იმ სამუშაოების ნატურალური ანაზღაურებას, რომლებიც შეასრულეს სამანქანო - სატრაქტორო სადგურებმა კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ იყო, რომ საკ. კ. პ. (ბ) ცეკამ და სახკომსაბჭომ 25 ივნისს, ამის შესახებ სპეციალური დადგენილება გამოიტანა.

ამ დადგენილებაში მოცემულია მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა გატარება რაიონულ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ძირეულ რგოლებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერებას.

უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ შემთხვევებში **სამ. - სატრ. სადგურსა და კოლმეურნეობებს შორის დადებული ხელშეკრულება ადგილებზე ფორმალურადაა დამუშავებული და მას ჯერ კიდევ ვერ იცნობენ კოლმეურნეთა ფართო მასები.**

— როდის ფიქრობთ სამ. სატრ. სადგურთან ანგარიშის გასწორებას? რამდენი ცენტნერი მარცვლეული უნდა ჩააბაროთ სამანქანო - სატრაქტორო სადგურს მიმდინარე წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე?

— ეს საკითხი ჯერ გამოურკვეველია — აცხადებენ სოფ. კარალეთის კოლმეურნეობის გამგეობის წევრები.

გორის სამანქანო - სატრაქტორო სადგურმა ჯერ კიდევ არ იცის, თუ როდის და რა რაოდენობის ნატურალური პროდუქცია უნდა მიიღოს ცალკე კოლმეურნეობებისაგან იმ სამუშაოთა ასანაზღაურებლად, რომელნიც მან ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულა კოლმეურნეობებში.

— ვერ ვერკვევით საქ. ტრაქტორცენტრის ინსტრუქციაში; არ ვიცით დამტკიცებული მოსავლის საჰექტარო ნორმები და ეს აფერხებს კოლმეურნეობების ან მისაღები მარცვლეულის დროულად აკრეფის მოწყობასო, — აცხადებენ სამანქანო - სატრაქტორო სადგურის უფროსი აგრონომი **გვირდწითელი,** და მთავარი ბუღჰალტერი **სტეფანოვი.**

გორის სამანქანო - სატრაქტორო სადგური დროულად და წარმატებით ასრულებს კოლმეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებას. მიმდინარე წლის გაზაფხულზე სადგურმა კოლმეურნეობებს მოუხნა 3.339 ჰექტარი მიწა და დაუთესა 327 ჰექტარი. ამჟამად სადგური მზად არის მოსავლის აღებისათვის. მან გეგმის მიხედვით მიმდინარე წელს კოლმეურნეობებს უნდა მოუმკას 900 ჰექტარი ხორბალი და გაულეწოს 26.300 ცენტნერი მარცვლეული. **კოლმეურნეობებიც ვალდებულნი არიან დადებული ხელშეკრულებათა საფუძველზე დროულად და ნატურით აუნაზღაურონ სამანქანო სატრაქტორო სადგურებს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.**

ლეწვის დაწყებამდე შესრულებული სამუშაოს ნატურალური ანაზღაურება — ცეკას და სახკომსაბჭოს აღნიშნული დადგენილების მიხედვით უნდა დამთავრდეს 1 სექტემბრისთვის. ხოლო გასალეწის ანაზღაურება უნდა ხდებოდეს ყოველ 5 დღეში სამ. სატრ. სადგურის მიერ კოლმეურნეობათა მარცვლეულის გალეწვის მიხედვით — ეს წესი მტკიცედ უნდა იქნას გატარებული, და იგი დაჩქარებით უნდა გავაცნოთ კოლმეურნეთა ფართო მასებს.

გორის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა და სამანქანო - სატრაქტორო სადგურმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანის წარმატებით შესრულებას.

ტ. აცანელი.

„სახელმწიფოსათვის შემდეგ გავლეწავთ“

(თელავი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს 20 ივნისის დადგენილებაში, განსაკუთრებული სიცხადით არის აღნიშნული რომ „სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება უნდა გაიშალოს მისი გალეწვის პირველი დღეებიდან, ხოლო საკოლმეურნეო ვაჭრობა უნდა შეჩერდეს მარცვლეულის ჩაბარების პირველივე დღეებიდან“.

ზოგან ამ ძირითად საბრძოლო ამოცანის შესრულებაში ადგილი აქვს დამახინჯებას. არის შემთხვევები, როდესაც გალეწვა კარგა ხანია მიმდინარეობს, ხორბლეულს ურთიერთ შორის ინაწილებენ და მისი სახელმწიფოსათვის ჩაბარება მეორეხარისხოვან საქმედ აქვთ მიჩნეული. ამის კონკრეტულ მაგალითს იძლევიან **თელავის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობები;** ასე მაგალითად, **სოფ. სანიორეს კოლმეურნეებმა უკვე გალეწეს ქერი და 25 ფუთი ავანსის სახით განაწილეს ურთიერთ შორის. სოფ. ნაფარეულის კოლმეურნეებმა გალეწეს პური და, ქერი 100 ფუთის რაოდენობით და, მთლიანად განაწილეს ავანსის სახით.** ამის შესახებ კოლმეურნეობის თავმჯდომარე აცხადებს: ჯერ კოლმეურნეების მოთხოვნილება უნდა დავაკმაყოფილოთ და სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლათ ერთად გავლეწავთ პურს შემდეგისათვის“-ო.

გალეწვა კარგა ხანია დაიწყო ინდივიდუალურ სექტორშიც. ბევრ სოფელში ქერის გალეწვა ინდივიდუალურ გლეხების მიერ თითქმის სანახევროდ დასრულდა.

თელავის მიწგანს კი ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოეპოვება.

ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ის უპასუხისმგებლობა, მოსავლის აღებისა და გალეწვის მიმდინარეობის საქმეში, რომელიც გამოამჟღავნა თელავის რაიონის მიწგანის ზოგიერთ მუშაკებმა. ასე მაგალითად, მიწგანის ეკონომისტი გ. არსენიშვილი 30 ივნისს იძლევა ცნობებს, რომ რაიონის ინდივიდუალურ სექტორში ქერი გალეწილია სულ 42 ჰექტარზე. ამ ცნობებს არ ეთანხმება დამზადების კომიტეტის თავმჯდომარე. 4 ივლისს ორივენი აცხადებენ, რომ რაიონის ინდივიდუალურ სექტორში ჯერ ლეწვა არ დაწყებულაო.

ნამდვილად კი მდგომარეობა ასეთია: ქერი და ნაწილობრივ პურიც ამ რიცხვისათვის გალეწილი ჰქონდა **სოფ. გულგულის, შალაურის და კურდღელაურის ინდივიდუალურ მეურნეობებს. სოფ. კურდღელაურის ინდივიდუალურ გლეხმა მამაჯაშვილმა თელავის ბაზარზე გასასყიდათ ჩამოიტანა ორი ფუთი ახალი მოსავლის ქერი. (სოფ. ენისელის (ყვარელის რაიონი) ინდივიდუალურ გლეხმა თელავის ბაზარზე ჩამოიტანა 7 ფუთი ახალი მოსავლის ქერი).**

პურით ვაჭრობის ეს ცალკე შემთხვევები თელავის რაიონული ორგანიზაციების მიერ დროზე იქნა შემჩნეული და მათ წინააღმდეგ სათანადო ზომები მიღებული. არის აგრეთვე შემთხვევები (სანიორე, ნაფარეული), როდესაც ინდივიდუალურ სექტორში ახალ მოსავლის პურს და ქერს „მეზობლურად“ ასესხებენ და სესხულობენ ურთიერთ შორის. ამ „მეზობლური გასესხების“ საფარით ნიავდება სახელმწიფოსათვის პირველ რიგში ჩასაბარებელი პური. მით უფრო ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ეს, რომ **აღნიშნულ სოფლებს და კოლმეურნეობებს 4 ივლისს სახელმწიფოსათვის არც ერთი მარცვალი არ ქონდა ჩაბარებული.**

სოფ. ნაფარეულის კოლმეურნეობამ წელს თავთავიანი კულტურები უნდა აიღოს სულ 131 ჰექტარზე. ამავე დროს ის განიცდის მუშა ხელის სიმცირეს (სულ კოლმეურნეობაში 26 მუშა - ხელია) ეს გარემოება კოლმეურნეობის წინაშე აყენებს საკითხს ქალთა და მოზარდთა შრომის მაქსიმალურად გამოყენების შესახებ. ნამდვილად კი აქ სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ქალთა და მოზარდთა შრომას ნაფარეულის კოლმეურნეობაში იყენებენ მხოლოდ ვენახის სამუშაოებზე. ამის გამო მოსავლის აღების ვადები აქ აშკარად ირღვევა.

აღნიშნულ კოლმეურნეობაში არც დანაკარგების წინააღმდეგ იბრძვიან. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამბობს: — ჩვენ არ გვყოფნის მუშა - ხელი დანაკარგებისათვის გამოდევნება; არ შეგვიძლია დანაკარგებს მუდამ ჰქონდა ადგილი და, ეხლაც არ შეიძლება მისი თავიდან აცილება. დანაკარგების ის რაოდენობა, რომელიც ჩვენ გვაქვს, **ჩვენი სოფლის მოსახლეობის ულუფას შეადგენს,** და მოსავლის აღების შემდეგ ვისაც სურს იგი აკრეფავს, დარჩენილ თავთავებს ჩვენს ფართობზეო.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში შეხვდებით ისეთ მდგომარეობას, როდესაც სხვადასხვა ჯიშები ერთმანეთში არევით არის დათესილი. ასე მაგ.: კონდოლის სასოფლო საბჭოს ნასომხრის უბანში ერთმანეთშია არეული „უკრაინკა“, — „კოოპერატორკა“ და ადგილობრივი ჯიშები. ამის შედეგად უკრაინკა ადრე მოწიფების გამო, დღითი - დღე ცვივა. მისი აღება კი შეუძლებელი ხდება, რადგან სხვა ჯიშები მოუმწიფებელია.

აღნიშნული ნაკლოვანებები მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის მისი ჩაბარების საქმეში რაიონულ ორგანიზაციების მხრივ მოითხოვენ სასწრაფო ზომების მიღებას.

ჰ. [illegible]

24 კომბაინი ჩაება სოცშეჯიბრებაში

(წერილი შირაქიდან)

შირაქის საბჭოთა მეურნეობა აქტიურად **ჩაება კონკურსში კომბაინების** უკეთ გამოყენებაზე, მოსავლის აღების წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად. ამასთან დაკავშირებით მეურნეობის პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა **„კომუნისტი“-ს გამსვლელი ბრიგადის დახმარებით კომბაინერებს შორის მოაწყვეს სოცშეჯიბრება.**

მოწვეულ იქნა კომბაინერების, მესაჭეების და მეურნეობაში მივლინებულ სტუდენტთა საწარმოო თათბირი, რომელზედაც დამუშავდა კომბაინების სამუშაო გეგმა და პრაქტიკული ღონისძიებანი მათი მაქსიმალური დატვირთვით გამოყენებისათვის.

თათბირზე **კომბაინერებმა თავი დამკვრელად გამოაცხადეს** და სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს ერთმანეთი. უკვე შემუშავებული და გაფორმებულია შეჯიბრების ხელშეკრულებები, რომლითაც კომბაინერებმა იკისრეს მთელი რიგი ვალდებულებები.

კომბაინერებს შორის დადებულ სოცშეჯიბრების ხელშეკრულება, სხვათა შორის ითვალისწინებს შემდეგ ვალდებულებებს: **ერთი კომბაინით დღეში მოსავლის აღება არა ნაკლებ 15 ჰექტარზე, დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა, მანქანების გაცდენის აღმოფხვრა, საწვავი მასალის ეკონომია, შრომის დისციპლინის განმტკიცება, სიმულიანტობისა და ზარმაცობის ალკვეთა, ტეხნიკური უშიშროების დაცვა, გალეწვის ხარისხის გაუმჯობესება და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების ყოველმხრივ ხელის შეწყობა.**

მეურნეობის დირექციამ სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დააწესა პრემიები: **ჯილდოს მიიღებს კომბაინერი, მესაჭე, ტრაქტორისტი, აღმრიცხველი, ე. ი. გამარჯვებული აგრეგატის მთელი შემადგენლობა.**

სოცშეჯიბრების ხელშეკრულების შემოწმება მოხდება ყოველ ხუთ დღეში ერთხელ.

მეურნეობის პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა მთელი მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადაიტანონ მინდვრად, ბრიგადებში, აგრეგატებზე; მათი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შირაქის საბჭოთა მეურნეობა, **მოსავლის უდანაკარგოდ აღება დაამთავროს 12 დღეში.**

კომბაინების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად საჭიროა გაძლიერებული ავტოტრანსპორტი. 42 კომბაინს მომსახურეობა, უნდა გაუწიოს 21 საბარგო ავტომანქანამ. მეურნეობის განკარგულებაში კი უკვე არის 33 ავტომობილი.

პირველი ივლისიდან საბჭოთა მეურნეობაში გამოვიდა ნაბეჭდი გაზეთი „ბრძოლა პურისათვის“-ს რომელიც ფართოდ აშუქებს კომბაინერებს შორის გაშლილ სოცშეჯიბრების მიმდინარეობას.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა:
ვ. მთვრალაშვილი.
ი. მოსაშვილი.

წითელი ქარავანი 2700 ფუთი პურით

(ტელეგრაფით გურჯაანიდან)

მოსავლის აღება - გალეწვის და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების საქმეში ბოლშევიკური დარაზმულობის მაგალითს იძლევიან სოფ. კარდენახის პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები და კოლმეურნეობები.

5 ივლისს სოფელ კარდანახი და მუკუზნის მიმღებ პუნქტში კარდანახიდან მოვიდა კოლმეურნეთა და ღარიბ, საშუალო გლეხთა მიერ მოწყობილი წითელი ქარავანი, რომელმაც პუნქტს ჩააბარა 2.700 ფუთი პური.

მ. ზარანდია.

„მთელი ბრიგადა იცავს საკოლმეურნეო მოსავალს“

(სიღნაღი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

საქ. სახკომსაბჭოს და საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკამ დაავალა ადგილობრივ ორგანიზაციებს: „იმ მიზნით, რომ შენახულ და დაცულ იქნეს მოსავალი დატაცებისაგან ქურდების, კულაკების, კულაკის დამქაშებისა და ზარმაცებისაგან, დაევალოს ყველა დამსჯელსა სამართლის ორგანოებს უსასტიკესად შეუფარდონ 1932 წლის 7 აგვისტოს კანონი საზოგადოებრივ საკუთრების დაცვის შესახებ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობების მოსავლის ყველა მპარავს და დამტაცებელს“.

როგორ იბრძვიან ამ დირექტივების განსახორციელებლად ტიბაანის კოლმეურნეობები „მაისის წყარო“ და „ოქტომბრის რევოლუციის 13 წლის თავი“.

ამ კოლმეურნეობებმა პასუხისმგებლობა პურის დაცვა უშუალოდ დააკისრეს მემინდვრების საკოლმეურნეო ბრიგადასა და მის ბრიგადირებს. **გადაწყვიტეს დარჩენ მინდორში მოსავლის აღების და გალეწვის** დამთავრებამდე. მოაწყვეს მინდვრებში შემოვლა შემოწმებული კოლმეურნეების მიერ ჯერ კიდევ მოსავლის აღების დაწყებამდე.

კოლმეურნეობა „მაისის წყარო“-ს კალოების მცველად გამოყოფილი ყავს საიმედო კოლმეურნე **მიშა ნატროშვილი.**

— იყო თუ არა შემთხვევა, რომ ვინმეს განეზრახოს ძნების გატაცება?

— ჯერჯერობით ასეთს ადგილი არ ქონია. მარტო მე კი არ ვიცავ ამ კალოს, არამედ ყველა კოლმეურნეთა ყურადღება აქეთკენაა მიმართული. მთელი ბრიგადა იცავს საკოლმეურნეო მოსავალს, როგორც თვალის ჩინს. ჩვენ მხედველობიდან არ ვუშვებთ იმ გარემოებას, რომ კულაკები და მათი დამქაშები შეეცდებიან ხელი მოითბონ საკოლმეურნეო დოვლათით. მაგრამ მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ჩვენ მტკიცედ ვართ საგუშაგოზე და არავის მივცემთ ნებას დაიტაცოს საკოლმეურნეო დოვლათი—აცხადებს კოლმეურნე ნატროშვილი.

— რა ზომები გაქვთ მიღებული მოსავლის ხანძრისაგან დასაცავად?

— იგი მიმითითებს კალოსთან არსებულ [illegible] სავსე კასრებზე.

კალოსთან და სალეწ პუნქტებთან კოლმეურნეობას მოწყობილი აქვს წყალსაცავი. გარდა ამისა მოწყობილი აქვთ აუზი, სადაც აგროვებენ და ინახავენ წვიმის წყალს ხანძრის შემთხვევისთვის.

აღსანიშნავია, რომ ზვინები დალაგებული აქვთ ერთმანეთისაგან დაშორებით. ამის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ვინიცობაა რომელიმე ზვინს გაუჩნდეს ხანძარი, მაშინ მოსახერხებელია დანარჩენების გადარჩენა.

ზოგიერთი შეკითხვებისა და გაბაასების დროს იმ მიზნით, რომ გამომერკვია რამდენად ფხიზლად იცავს იგი ხანძრის საწინააღმდეგო წესებს, ამოვიღე პაპიროსი, მაგრამ ნატროშვილმა მოკრა თუ არა თვალი წამსვე მრისხანედ გამაფრთხილა:

— ამხანაგო, პაპიროსის მოწევა **კალოსთან** სასტიკად აკრძალულია და ამის ნებას არ მოგცემთ.

აქ აჯარიმებენ იმ კოლმეურნეებს, ვინც დაარღვევს წესებს და შეეცდება კალოსთან პაპიროსის მოწევას. ასე მაგალითად, კალოსთან პაპიროსის მოწევისათვის ოცოცი მანეთით დააჯარიმეს კოლმეურნე **ზაქარა გურაშვილი და ნიკო მამაიაშვილი.**

კოლმეურნეობა „ოქტომბრის რევოლუციის 13 წლის თავს“ კალოს დარაჯათ გამოყოფილი ყავს კოლმეურნე **ნიკო ათანელიშვილი.**

— ამხ. ნიკოს სამი წელია, რაც კალოს დარაჯათ ვირჩევთ. იგი [illegible] პირნათლად ასრულებდა ამ მოვალეობას და ამიტომ დაიმსახურა ჩვენი ნდობა“-ო,—ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ამხ. ჯიბირაშვილი.**

— რა ზომებს იღებთ ქურდების წინააღმდეგ?—ვეკითხები კოლმეურნეებს.

— ქურდს არ მივსცემთ გასაქანს. კარგად ვიცით, რომ პურს ანგარიში უყვარს. არ იფიქროთ, რომ თვალს უჯერებდეთ. ჯერ პურს ვწონავთ სალეწ მანქანასთან, ბეღელში ჩაბარების დროს. ჯერჯერობით დანაკლისის შემთხვევა არ ყოფილა. ასეთის გამომჟღავნებისთანავე დამნაშავეებს სასტიკად დავსჯით.

ჩვენ ყველა საშუალებები მოგვეპოვება მოსავლის დასაცავად. საბჭოთა კანონები ყოველმხრივ უწყობს ხელს ბრძოლას ქურდობის და მტაცებლების წინააღმდეგ. 7 აგვისტოს კანონი საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების დაცვის შესახებ არ ინდობს საკოლმეურნეო დოვლათის გამფლანგველებს, მთავარი ისაა, რომ საკოლმეურნეო აქტივი და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეები ფართოდ ჩავაბათ მოსავლიანობის დაცვაში.

ფართოდ უნდა გამოვიყენოთ კოლმეურნეობა „ოქტომბრის რევოლუციის 13 წლის თავის“ და „მაისის წყარო“-ს გამოცდილებანი მოსავლის დაცვისათვის ბრძოლაში, და დავირაზმოთ მთელი ძალები სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების დაწესებულ გეგმების ვადამდე შესასრულებლად.

თ. კუნჭულია.

ტფილისი, „კომუნისტი“-ს რედაქციას

ერევანი, 5 ივლისი. მოსავლის აღების წარმატებით ორგანიზაციისა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ვადამდის ჩაბარების მიზნით, რედაქციის ძირითადი მუშაკები გაიგზავნენ ალავერდის, სტეპანავანის, კარაკლისის, კოტაიკის, ახტის, მარტუნის, ბასარგეჩარის, ახალბაიაზეთის, შამშადინის, იჯევანის და რალაგეზის, აშტარაქის და ვაჭარშაპეთის რაიონებში. ოთხ რაიონში დაწყებულია ქერის აღება. **5-დან 10 ივლისამდის მოეწყობა პირველი წითელი ქარავნები სახელმწიფოსათვის პირველი გალეწვის მარცვლეულის ჩასაბარებლად.**

ვაჭარშაპეთის რაიონში რედაქციის მიერ მოწვეულმა საწყობების გამგეების და მოანგარიშეების თათბირმა გამოამჟღავნა მოსავლის ახალები საღრიცხვო ფორმების დიდი ნაკლებობა. მიწსახკომის საშუალებით ჩვენ მივიღეთ ზომები ამ მნიშვნელოვანი დეფექტის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციისათვის.

რედაქციის ინიციატივით კოტაიკის, ახტის, ქეშიშკენდის, აშტარაკის და კარაკლისის რაიონებში მოწვეულ იქნა კოლმეურნეობების ბრიგადირების, აგრომამასახლისების, სოფლკორების, პარტორგანიზატორების, მუშგლეხინის აქტივის, სასოფლო საბჭოების და კოლმეურნეობების თავმჯდომარეების თათბირები. ამ თათბირებმა გააძლიერეს მოსავლის აღებისათვის მზადების ტემპები, ხელი შეუწყვეს სოცშეჯიბრების გაშლას რაიონებსა, სოფლებსა და კოლმეურნეობებს შორის. საწყობების მომზადების შემოწმებამ გამოამჟღავნა — „ზაგოტზერნოს“ რაიონული განყოფილებების აპარატის შეუწყნარებელი სიზანტე. ცენტრალური ორგანოების საშუალებით ჩვენ მივიღეთ ზომები საწყობების მშენებლობის და რემონტის დაუყოვნებლივ დამთავრებისათვის.

კაფანის რაიონში ჩვენი მუშაკების მიერ გამომჟღავნებული იქნა კულაკთა ცდები, ჩაეშალათ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების საქმე. ასეთი ცდების მოსასპობად განმანადგურებელ ბრძოლას ვეწევით. ჩვენი მოწოდებით, რომ გამოეხმაურებოდნენ ამიერ-კავკასიის პრესის სოცშეჯიბრებას, მასში ჩაებენ მთელი რიგი რაიონული და რესპუბლიკური გაზეთები, რომლებმაც ადგილობრივ ფართო პრაქტიკული მუშაობა გააჩაღეს.

„ხორურდაინ ჰაიასტან“.

საკავშირო რადიო-გამოძახება საუკეთესო სასოფლო საბჭოებზე

ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის ცაკებს, რაიაღმასკომებს, საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს

10 ივლისს, საღამოს 10 საათზე, მოსკოვის დროით, საკავშირო ცაკი აწყობს რადიო - გამოძახილს საუკეთესო საბჭოებზე კონკურსის შესახებ. მთავარია: თესვა, მოსავლის აღება და ხორბლეულის სახელმწიფოსათვის ჩაბარება, რადიოთი მოხსენებით გამოვა ამხ. **კალინინი.**

მოაწყეთ გამოძახების ფართო მოსმენა ყველა ორგანიზაციების და, მშრომელთა მასების ჩაბმით, აწარმოეთ სოცშეჯიბრებაში რაიაღმასკომების და საბჭოების მუშაობის აღრიცხვა, გაუზიარეთ ერთმანეთს სექციების და დეპუტ. ჯგუფების საქმიანობის; გამოცდილება მასიური მუშაობის გარდაქმნისთვის, განამტკიცეთ ოპერატიული ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში მოსავლის აღების და ხორბლეულის სახელმწიფოსათვის ჩაბარების შესახებ.

შედეგი აცნობეთ ცაკს.

ს. ს. ცაკის მდივანი: —
თ ელენტი.

საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკის დიდი გამარჯვება

რვა სახელმწიფოს კონვენცია

ლონდონი, 3 ივლისი. 3 ივლისს, 18 საათზე, ლონდონში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობაში რვა ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შემდეგი შინაარსის კონვენციას:

კონვენცია აგრესიის განსაზღვრის შესახებ

საბჭოთა კავშირის ცაკმა, მისმა უდიდებულესობამ ავღანისტანის მეფემ, ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მისმა უდიდებულესობამ სპარსეთის შაჰმა, პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მისმა უდიდებულესობამ რუმინეთის მეფემ, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა,

რომლებიც გამსჭვალული არიან სურვილით გააძლიერონ მათ ქვეყნებს შორის არსებული მშვიდობიანობა,

რომლებიც სცნობენ, რომ ბრიან-კელოგის პაქტი, რომლის მონაწილენიც ისინი არიან, კრძალავს ყოველგვარ აგრესიას,

რომლებიც საჭიროდ სთვლიან საყოველთაო უშიშროების ინტერესებისათვის, რაც შეიძლება უფრო ზუსტად იქნას განსაზღვრული ცნება აგრესია მისი ყოველგვარი გასამართლებელი საბაბის აღმოსაფხვრელად,

რომლებიც აღნიშნავენ, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს დამოუკიდებლობის, თავისი ტერიტორიის უშიშროების და დაცვის, თავისი სახელმწიფოებრივი წყობილების თავისუფალი განვითარების თანაბარი უფლება,

რომლებიც აღფრთოვანებული არიან სურვილით საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესების სასარგებლოდ უზრუნველყონ ყველა ხალხებისათვის მათი ქვეყნების ტერიტორიის ხელუხლებლობა,

რომლებიც სასარგებლოდ სთვლიან საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესებისათვის შემოღებულ იქნ[ას] თავის ქვეყნებს შორის აგრესიის განსაზღვრის ზუსტი წესები, სანამ აღნიშნული წესები უნივერსალურად იქნებოდეს აღიარებული,

გადაწყვიტეს ამ მიზნით დასდონ ეს კონვენცია, რისთვისაც სათანადო რწმუნებანი მისცეს: საბჭოთა კავშირის ცაკმა—საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს, მაქსიმე ლიტვინოვს; მისმა უდიდებულესობამ ავღანისტანის მეფემ — სახალხო განათლების მინისტრს, ალი მაჰამედ ხანს; ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა — დოქტორ ოსკარ კალასს, საგანგებო ელჩს და სრულუფლებიან მინისტრს ლონდონში; ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა — საგარეო საქმეთა მინისტრს, ვოლდემარას სალნაისს; მისმა უდიდებულესობამ სპარსეთის შაჰმა—საქმეთა რწმუნებულს ლონდონში, ფატაილა ხან ნური ესფენდიარის; პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა—პოლონეთის მუდმივ წარმომადგენელს ერთა ლიგასთან, საგანგებო ელჩს და სრულუფლებიან მინისტრს ედუარდ რაჩინსკის; მისმა უდიდებულესობამ რუმინეთის მეფემ — საგარეო საქმეთა მინისტრს, ნიკოლოზ ტიტულესკუს; თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა — საგარეო საქმეთა მინისტრს, თევფიკ როუშტიუ-ბეის,

რომლებიც შეთანხმდნენ ქვემოაღნიშნულ დადგენილებებზე:

მუხლი პირველი.

შეთანხმების დამდები თითოეული მაღალი მხარე კისრულობს, თავის ურთიერთდამოკიდებულებაში თითოეულ დანარჩენ მხარესთან, იცნოს, ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდანვე, თავდამსხმელი მხარის განსაზღვრა, რაც განმარტებულია განიარაღების კონვენციაში უშიშროების კომიტეტის 1933 წლის 24 მაისის იმ მოხსენებაში (პოლიტისის მოხსენება), რომელიც გაკეთებული იქნა საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადების საფუძველზე.

მუხლი მეორე.

ამასთან შეფარდებით, თავდამსხმელ მხარედ საერთაშორისო კონფლიქტში — კონფლიქტში ჩაბმულ მხარეებს შორის მოქმედი შეთანხმებათა გაოვალისწინებით — ჩაითვლება ის სახელმწიფო, რომლის მიერაც პირველად იქნება ჩადენილი ერთერთი შემდეგი მოქმედება.

1. ომის გამოცხადება სხვა სახელმწიფოსათვის,
2. შეიარაღებული ძალების შეჭრა, თუნდაც ომის გამოუცხადებლად, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე,
3. ხმელეთის, საზღვაო ან საჰაერო შეიარაღებული ძალების თავდასხმა, თუნდაც ომის გამოუცხადებლად, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, საზღვაო ან საჰაერო გემებზე,
4. სხვა სახელმწიფოს ნაპირების ან ნავთსადგურების საზღვაო ბლოკადა,
5. დახმარების გაწევა საკუთარ ტერიტორიაზე შექმნილი ბანდებისათვის, რომლებიც იჭრებიან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან უარისთქმა, მიუხედავად იმ სახელმწიფოს მოთხოვნებისა, რომელსაც თავს დაესხნენ, მიიღოს საკუთარ ტერიტორიაზე ყველა შესაძლებელი ზომა მოესპოს აღნიშნულ ბანდებს ყოველგვარი დახმარება ან მფარველობა.

მუხლი მესამე.

ვერავითარი პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიური ან სხვა ხასიათის მოსაზრება ვერ გამოდგება მეორე მუხლში გათვალისწინებული თავდასხმის საბაბად მიზეზად ან გამართლებად (მაგალითისათვის იხილე დამატება).

მუხლი მეოთხე.

ეს კონვენცია რატიფიცირებული იქნება შეთანხმების დამდებ მაღალ მხარეთა მიერ, თითოეული მათგანის კანონმდებლობის შესაბამისად.

სარატიფიკაციო სიგელები შეთანხმების დამდები თითოეული მაღალი მხარის მიერ შესანახად გადაცემული იქნება საბჭოთა კავშირის მთავრობისათვის.

როგორც კი სარატიფიკაციო სიგელები გადაცემული იქნება შესანახად შეთანხმების დამდებ მაღალ მხარეთაგან ორის მიერ, ეს კონვენცია ძალაში შედის ამ ორ მხარეს შორის. შეთანხმების დამდები დანარჩენი მაღალი მხარეებისათვის იგი ძალაში შევა მათ მიერ თავის მხრით სარატიფიკაციო სიგელების შესანახად გადაცემის მიხედვით.

სარატიფიკაციო სიგელების თითოეული გადაცემა შესანახად საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ დაუყოვნებლივ ეცნობება ამ კონვენციის ყველა მონაწილეს.

მუხლი მეხუთე.

ეს კონვენცია შედგენილია რვა ეგზემპლიარად, რომელთაგან თითო ეძლევა შეთანხმების დამდებ თითოეულ მხარეს, რის დასადასტურებლად ზემოჩამოთვლილმა რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ კონვენციას და დააკრეს თავისი ბეჭდები.

დადებულია ლონდონში 1933 წლის სამ ივლისს.

მაქსიმე ლიტვინოვი.
ალი მაჰამედ ხანი.
ოსკარ კალასი.
ვოლდემარას სალნაისი.
ფატაილა ხან ნური ესფენდიარი.
ედუარდ რაჩინსკი.
ნიკოლოზ ტიტულესკუ.
თევფიკ რიუშტიუ-ბეი.

დამატება მესამე მუხლისა აგრესობის განსაზღვრის შესახებ

შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები, რომელთაც ხელი მოაწერეს კონვენციას აგრესიის განსაზღვრის შესახებ, სურთ რა მათ — აღნიშნული კონვენციის მესამე მუხლში ფორმულირებული წესის ხელშეუხებლობის და აბსოლუტური მნიშვნელობის შენარჩუნების დროს — დასახონ ზოგიერთი მითითება, რომლებიც იძლევიან თავდამსხმელი მხარის განსაზღვრის საშუალებას:

აცხადებენ, რომ, სხვათაშორის, არც ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოება არ შეიძლება მოყვანილ იქნას აგრესიის რაიმე აქტის გამართლებად, როგორც ეს განსაზღვრულია დასახელებული კონვენციის მეორე მუხლში:

რომელიმე სახელმწიფოს საშინაო მდგომარეობა, როგორიც, მაგალითად: მისი პოლიტიკური, ეკონომიური ან სოციალური წყობილება, მისი ადმინისტრაციის მოჩვენებითი ნაკლოვანებანი, უწესობანი, რომლებიც წარმოადგენენ გაფიცვებს, რევოლიუციური ან კონტრ-რევოლიუციური მოძრაობის და სამოქალაქო ომის შედეგს,

რომელიმე სახელმწიფოს საერთაშორისო მოქმედება, როგორიც, მაგალითად: უცხო სახელმწიფოს ან მის მოქალაქეთა მატერიალური ან მორალური უფლებების ან ინტერესების დარღვევა ან დარღვევის მუქარა, დიპლომატიური ან ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტა, ეკონომიური ან ფინანსიური ბოიკოტის ზომები, კონფლიქტები ეკონომიური, ფინანსიური ან სხვა ვალდებულებათა დარგში უცხო სახელმწიფოთა მიმართ, სასაზღვრო ინციდენტები, რომლებიც არ უდგება აგრესიის არც ერთ შემთხვევას, რაც კი აღნიშნულია მეორე მუხლში.

ამავე დროს შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები ერთხმად სცნობენ, რომ ეს კონვენცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას გამოყენებული საერთაშორისო უფლების იმ დარღვევათა გამართლებად, რომლებიც შეიძლება მიუდგეს ზემოდმოყვანილ ნუსხაში მოქცეულ გარემოებებს.

მაქსიმ ლიტვინოვი.
ალი მაჰამედ ხანი.
ოსკარ კალასი.
ვოლდემარას სალნაისი.
ფატაილა ხან ნური ესფენდიარი.
ედუარდ რაჩინსკი.
თევფიკ რიუშტიუ-ბეი.
ნიკოლოზ ტიტულესკუ.

წერილების გაცვლა-გამოცვლა ტიტულესკუსა და ამხ. ლიტვინოვს შორის

ლონდონი, 4 ივლისი. რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტიტულესკუმ ამხ. ლიტვინოვს გაუგზავნა შემდეგი წერილი:

„ბატონო მინისტრო! ვეყრდნობი რა თქვენს დეკლარაციას, რომ სასურველია მისაწვდომი გახდეს ყველა სხვა ერის მიერ ხელის მოსაწერად კონვენცია აგრესიის განსაზღვრის შესახებ, პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ რუმინეთის მეფის მთავრობა, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა და სამხრეთ-სლავიის მეფის მთავრობა მზად არიან ხელი მოაწერონ საბჭოთა კავშირთან კონვენციას აგრესიის განსაზღვრის შესახებ იმავე გამოთქმებში, როგორადაც შედგენილია საბჭოთა კავშირის მეზობლებთან დადებული კონვენცია, იმ პუნქტის დამატებით, რომ სხვა ერებს უფლება ეძლევათ შეუერთდნენ კონვენციას“.

ხელმოწერილია რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ტიტულესკუს მიერ.

ამ წერილის პასუხად ამხ. ლიტვინოვმა აცნობა ტიტულესკუს, რომ ის თანახმაა ხელი მოაწეროს წარმოდგენილ კონვენციას და შეატყობინა მას, რომ თურქეთის რესპუბლიკის მთავრობამაც გამოთქვა სურვილი შეუერთდეს ამ კონვენციას (ადს).

მეორე კონვენცია აგრესიის განსაზღვრის შესახებ

ლონდონი, 4 ივლისი. 4 ივლისს, ლონდონის დროით საღამოს 6 საათზე, საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შენობაში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ლიტვინოვმა და თურქეთის, აგრეთვე მცირე ანტანტის ქვეყნების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მეორე კონვენციას, რომელიც განსაზღვრავს აგრესიას, იგი იდენტურია რვა სახელმწიფოს მიერ გუშინ დადებული კონვენციისა, მაგრამ [illegible] ახალ მეოთხე მუხლს,—რომელშიაც ნათქვამია:

„ამ კონვენციას შეუძლია შეუერთდეს ყველა დანარჩენი სახელმწიფო. შეერთება იძლევა იმავე უფლებებს, გულისხმობს იმავე ვალდებულებებს, როგორც პირველადვე ხელისმოწერა. განცხადება შეერთების შესახებ ეგზავნება საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომელიც ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს დანარჩენ მონაწილეებს“.

კონვენციას ხელს აწერენ: რუმინეთიდან —საგარეო საქმეთა მინისტრი ნიკოლოზ ტიტულესკუ; ჩეხო-სლოვაკიისგან—ლონდონელი ელჩი იან მასარიკი; თურქეთისაგან—ლონდონელი ელჩი მეჰმედ მუნირ-ბეი, საბჭოთა კავშირისგან—საგარეო საქმეთა მინისტრი მაქსიმ ლიტვინოვი, სამხრეთ-სლავიისგან—ლონდონელი ელჩი გიორგი დუურიჩი (ადს).

ამხ. ლიტვინოვის განცხადება

ლონდონი, 4 ივლისი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა შემდეგი:

„საერთაშორისო ცხოვრება ახლა იცნობს მრავალ ფაქტს, ხოლო კიდევ მეტ რეზოლუციებს, სხვადასხვა წინადადებებს და პროექტებს ომზე უარის თქმის, ძალის გამოუყენებლობის, თავდაუსხმელობის და სხვ. შესახებ. ყველა ამ აქტისა და წინადადების აზრი გამოიხატება უკვე მიღებულ ვალდებულებაში ან ისეთ ვალდებულებაში, რომელიც მიღებული იქნება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეზე თავდაუსხმელობის შესახებ. თუმცა ყველა უბრალო მომაკვდავს თავდასხმის ცნება სრულიად მარტივ და ნათელ ცნებად ეჩვენება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები მრავალი წლის განმავლობაში არკვევდენ აგრესიის ზუსტ განსაზღვრას და ვერ მივიდენ საბოლოო დასკვნამდე. ამავე დროს კი აგრესიის საერთოდ მიღებულ ცოტად თუ ბევრად ზუსტი განსაზღვრის გარეშე თვით ვალდებულებებს თავდაუსხმელობის შესახებ საგრძნობ წილად ფასი ეკარგებათ, ვინაიდან, თავდაუსხმელობის ვალდებულების დარღვევის დროს, ძნელი იქნება იმის დადგენა, რომელმა მხარემ დაარღვია თავისი ვალდებულებანი. ამჟამად არ არის ისეთი საყოველთაოდ აღიარებული და საერთაშორისო ავტორიტეტები, რომელთაც შეეძლოთ სათანადო შემთხვევებში ასეთი საკითხების გადაჭრა. ასეთი ორგანიზაციები კიდეც რომ არსებობდენ ან შექმნილიყვნენ, საეჭვო იქნებოდა, რომ მათ სრულიად მიუდგომელი ობიექტიური დასკვნები გამოეტანათ, განსაკუთრებით თუ არ იქნებოდა რაიმე კრიტერიუმი, რომელსაც ისინი საფუძვლად დაუდებდენ თავის მსჯელობას. ამ ხარვეზის შესავსებად საბჭოთა დელეგაციამ განიარაღების კონფერენციაზე, უშიშროების გარანტიების სხვადასხვა სქემის განხილვასთან დაკავშირებით, დაახლოვებით ხუთი თვის წინად წარადგინა აგრესიის დაწვრილებით დამუშავებული განსაზღვრა. ამ განსაზღვრებაში აღნიშნული იყო არა მარტო ის ფაქტები, რომლებიც აგრესიად უნდა ჩაითვალონ, არამედ აგრეთვე ჩამოთვლილი იყო საერთაშორისო პრაქტიკაში ცნობილი საბაბები აგრესიის გასამართლებლად, რათა ასეთი საბაბები წინასწარ დაგვეგმო მომავლისათვის.

აგრესიის ამ განსაზღვრამ საკმაოდ დიდი ყურადღება მიიქცია ჟენევაში და იგი ბევრ ქვეყანაში შეფასებულ იქნა როგორც სახელმწიფოთა უშიშროების გაძლიერების ერთ-ერთი შესაძლებელი და სერიოზული საშუალება. ჟენევის პროცედურის თანახმად, წინადადებამ განვლო განხილვის სხვადასხვა სტადია, ამასთან განიარაღების მრავალი სხვა რთული პრობლემის კომპლექსში. უშიშროების კომიტეტმა განიხილა ჩვენი წინადადება და ძირითადად მიიღო იგი. მაგრამ როცა უშიშროების კომიტეტის მოხსენება გადაეცა კონფერენციის გენერალურ კომისიას, აშკარა გახდა, რომ ძალიან ცოტა შანსები იყო იმისათვის, რომ წინადადება მალე იქნებოდა მიღებული.. გარდა ამისა, გამოირკვა, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს თავისათვის უხერხულად და შემავიწროებლად მიაჩნია აგრესიის ჩვენი განსაზღვრა და ამიტომ მისი უნივერსალური გაგებაც მეტად პრობლემატიური შეიქნა. ამ გარემოებებმა დაგვებადეს აზრი, რომ მიზანშეწონილია გატარდეს აგრესიის ჩვენი განსაზღვრა კონვენციაში ჯერ რამოდენიმე სახელმწიფოს შორის იმ ანგარიშით, რომ სხვა სახელმწიფოებს შეეძლოთ შეუერთდენ მას, ან მიბაძონ ამ მაგალითს. ბუნებრივია, რომ ჩვენი აზრი უწინარეს ყოვლისა წარიმართა ჩვენი უშუალო მეზობლებისაკენ, რომლებთანაც შევუდექით ნიადაგის სათანადოდ სინჯვას. ნიადაგის სინჯვა მალე გადაიქცა პრაქტიკულ მოლაპარაკებაში ზოგიერთ ჩვენს მეზობელთან, რომელთაგან ჩვენს წინადადებას განსაკუთრებით მხურვალედ გამოეხმაურა თურქეთი. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თევფიკ რიუშტიუ-ბეი მეტად აქტიურად გვიწყობდა ხელს დასახული მიზნის განხორციელებაში. ჩემი ჯერ ჟენევაში, ხოლო შემდეგ ლონდონში გამგზავრების გამო მოლაპარაკება დროებით შეწყდა, მაგრამ მალე განახლდა აქ, ლონდონში, სადაც შესაძლებელი გახდა გვესარგებლნა ზოგიერთი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ყოფნით. აქ განგრძობილი მოლაპარაკების შედეგად, დღეს მოხერხდა დაგვედო კონვენცია, რომელსაც ხელს აწერს შვიდი ჩვენი მეზობელი ქვეყანა.

ხელმოწერილი კონვენცია წარმოადგენს [illegible] რგოლს საბჭოთა მთავრობის იმ ღონისძიებათა ჯაჭვში, რომლებიც სისტემატიურად მიმართულია მეზობლებთან მისი მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცებისაკენ. ამავე დროს კონვენცია წარმოადგენს მაგალითს და სტიმულს სხვა ქვეყნებისთვის. თავისთავად იგულისხმება, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის დასდოს ანალოგიური კონვენციები ყველა სახელმწიფოსთან, მათი გეოგრაფიული მდებარეობისა და მათთან ახლა არსებული ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ასეთი შეთანხმებანი სრულიადაც არ ხსნიან დღის წესრიგიდან განიარაღების კონფერენციისათვის ჩვენ მიერ წარდგენილ წინადადებას, რომლის მიზანია აგრესიის განსაზღვრის უნივერსალური მიღება.

ჩვენ უაღრესად მოხარული ვიქნებოდით, თუ შესაძლებელი იქნებოდა შეთანხმების მიღწევა ჟენევაში ყველა ხალხს შორის და ხელისმოწერა საერთო კონვენციაზე, რომელიც შეცვლის კერძო კონვენციებს. ჩვენ ამ შემთხვევაში იმავე გზას გავყვებოდით, რომლითაც ჩვენ მივდიოდით ბრიან-კელოგის პაქტის საქმეში, [illegible], მისი საერთო გავლის სიძნელისა და სინელის გამო, აგრეთვე ვადამდე იქნა ძალაში შეყვანილი ჩვენსა და ჩვენს მეზობლებს შორის. ჩემს გამოსვლაში ეკონომიურ კონფერენციაზე მე მივუთითებდი ხალხთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მშვიდობიანობის ატმოსფეროს მნიშვნელობაზე საერთაშორისო ეკონომიური პრობლემების გადაჭრისათვის. ამ თვალსაზრისით, მგონია, რომ ლონდონში ჩვენ მიერ დამთავრებულმა აქციამ, რომელიც ანმტკიცებს მშვიდობიანობას 265 მილიონზე მეტი კაცისაგან შემდგარ ხალხთა შორის, უეჭველად ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიური კონფერენციის წარმატებებს და ამიტომ მას უნდა მიესალმონ ამ კონფერენციის ინიციატორები და მონაწილეები“ (ადს).

მსოფლიო პრესა რვა სახელმწიფოს კონვენციის შესახებ

(„პრავდა“-ს პრესის მიმოხილვა)

მოსკოვი, 4 ივლისი. „პრავდა“ სწერს: „მთელი მსოფლიოს პრესა ცხოვლად ეხმაურება რვა სახელმწიფოს შორის ლონდონში დადებულ კონვენციას აგრესიის განსაზღვრის შესახებ. საბჭოთა კავშირის მეგობრებიც და მტრებიც კონვენციას თვლიან საბჭოთა კავშირის დიდ პოლიტიკურ გამარჯვებად, აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობის განმტკიცების უდიდეს ფაქტორად.

„**ლიუმანიტე**“ სწერს: მას შემდეგ, რაც დადებულ იქნა შეთანხმება ინგლისის მთავრობის მიერ საბჭოთა საქონელზე ემბარგოს გაუქმების შესახებ, რვა სახელმწიფოს კონვენცია წარმოადგენს იმის ახალ დასამტკიცებელ საბუთს, რომ „კაპიტალისტური ქვეყნები იძულებული არიან აღიარონ საბჭოთა კავშირის ძლიერება და ანგარიში გაუწიონ იმ ძალას, რომელსაც იგი წარმოადგენს“.

ბურჟუაზიული გაზეთები ქება-დიდებას ასხამენ საბჭოთა კავშირის დიპლომატიურ ხელოვნებას და პირადად ამხ. ლიტვინოვს. „მატენის“ აზრით, კონვენციის ხელისმოწერა წარმოადგენს „მნიშვნელოვან ნაბიჯს აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის“.

„**პტი ჟურნალი**“-ს აზრით, კონვენცია ფაქტიურად წარმოადგენს „თავდაუსხმელობის პაქტს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის“.

გერმანიის პრესა შეშფოთებით აღნიშნავს, რომ კონვენცია წარმოადგენს საბჭოთა პოლიტიკის დიდ გამარჯვებას.

„**კელნიშე ცაიტუნგი**“ სწერს:

„ლიტვინოვს შეუძლია კმაყოფილი იყოს მის მიერ წარმოებული მოლაპარაკების შედეგებით“.

„**ფრანკფურტერ ცაიტუნგი**“ ანალოგიურად აცხადებს:

„ლიტვინოვს შესწევს უნარი ნაყოფიერი გახადოს თავისი მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებზე“.

ამერიკული გაზეთის „**ივნინგ პოსტის**“ ლონდონელი კორესპონდენტის აზრით კონვენციის დადებით „მთავრდება მსოფლიო ომის დროის შემდეგ შექმნილი დიპლომატიური უშიშროების ყველაზე შესანიშნავი სისტემა. რამდენადაც საერთოდ ადამიანის დაპირებას აქვს რაიმე მნიშვნელობა, ეს სისტემა უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირს აგრესიისაგან ევროპის და აზიის მხრით ჩინეთამდე. ლიტვინოვი თავისი მიღწევებისათვის დიდი წარჩინების ღირსია. იმ დროს, როცა ფრანგები, ინგლისელები და ამერიკელები დაობდენ ვალუტის საკითხზე, ლიტვინოვი შეუთანხმდა ინგლისს შერიგების შესახებ. მან მოიპოვა ეს გამარჯვება ისე, რომ არ მოუხრია ქედი ინგლისის დიპლომატიის წინაშე.

პოლონეთის პრესა რვა სახელმწიფოს კონვენციას უწოდებს „აღმოსავლეთში ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრების კონვენციას“ და ამ კონვენციას უპირისპირებს ოთხ სახელმწიფოს პაქტს, რომელიც წარმოადგენს მოუსვენრობის წყაროს, საზღვრების რევიზიის იარაღს და რომელიც ყოფს სახელმწიფოებს პირველი და მეორე კატეგორიის ქვეყნებად“.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რვა სახელმწიფოს კონვენციის შესახებ

ვარშავა, 4 ივლისი. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეკმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ მისი აზრით კონვენცია წარმოადგენს მნიშვნელოვან პოლიტიკურ აქტს, რომელსაც უაღრესად შეგნებული ხასიათი აქვს. ბეკმა გამოთქვა განსაკუთრებული კმაყოფილება იმის გამო, რომ ამ პოლიტიკურ აქტს პოლონეთიდან ერთად ხელს აწერენ საბჭოთა კავშირი და რუმინეთი (ადს).

ლიტვამ ხელი მოაწერა კონვენციას აგრესიის განსაზღვრის შესახებ

ლონდონი, 5 ივლისი. 5 ივლისს ამხ. ლიტვინოვმა და ლიტვის ელჩმა ლონდონში სიძიკაუსკასმა ხელი მოაწერეს კონვენციას აგრესიის განსაზღვრის შესახებ. ეს კონვენცია ისეთივეა, როგორიც საბჭოთა კავშირის მეზობელ ქვეყნებთან და მცირე ანტანტის ქვეყნებთან დადებული კონვენცია. ლიტვა - საბჭოთა კავშირის კონვენციის შესავალი ნაწილი, სხვა კონვენციებისაგან განსხვავებით, შეიცავს მითითებას არა მარტო ბრიან-კელოგის პაქტზე, არამედ თავდაუსხმელობის იმ პირველ პაქტზედაც, რომელიც დადებულ იქნა ლიტვასა და საბჭოთა კავშირს შორის 1926 წელს. (ადს).

გიორგი ქუჩიშვილი

ავიღოთ კურსი მაღაროებზე

I. შესავალი კარი

ერთხელ კიდევ
მოველ,
ვნახე
ჭიათურის
მადნის წყარო;
აღტაცებით
გადავძახე:
გამარჯვება
შრომის ჯარო!
იგიც მტკიცედ
შემეგება
და ხმამაღლა
გამაგონა:
მარგანეცის
ხვავი დგება
800,000 ტონა!
მიხარიან!
ხარბად ვუმზერ
ჭიათურის
გოლიათებს
და ფოლადის
ჩანგით უღერ
რაც მიღწევის
ცეცხლით მანთებს!
და შევდივარ
მაღაროში,
სადაც სუფევს
ძმური შრომა:
პოეზიის
მუშურ დროშით
მუშებ შორის
მინდა დგომა
მინდა გარჯა
მინდა ბრძოლა.
მაგონდება
წარსულ დღე:
მინდა ვიგრძნო
ტანში ჟრჟოლა,
რომ ავმღერდე
უფრო მძლეთა.
მახსოვს:
ძველად ჭიათურა
მიყრუებულ
სოფელს ჰგავდა,
გაჰკიოდა
ღამით ტურა,
მკვიდრთა გულში
სევდას სძრავდა.
პირშემურულ
პირქუშ მთებში
იყო იგი ჩაძირული
და მუშათა
ზოგად ხმებში
თუ ისმოდა
ხმა გმირული.
და ეს ხმებიც,
ბრძოლის ხმები,
იხშობოდა
მტრის სიმწყრალით,
მაგრამ ზოგჯერ,
გაფიცვებით
იფეთქებდა
კვლავ გრიალით!
მახსოვს:
რეაქციის წლები
და დამსჯელი
მეფის რაზმი;
ჩვენი სისხლი,
ჩვენი ძვლები
თითქმის ყოველ
ნაბიჯს აზის.
მახსოვს,
მახსოვს ის ამბავიც,
რომ გავედით
ბრძოლის ველად
ზოგს ციმბირში
უკრეს თავი,
ზოგს წილად ხვდა
სახრჩობელა.
ეჰ, ვინ მოსთვლის,
ან ვინ ასწერს
იმ ქარცეცხლს და
იმ შავ დროსა,
როცა წითელ
ჩითის ნაჭერს
მივაფრენდით
როგორც დროშას!
და ეს დროშა,
რწმენის დროშა,
არ დავხარეთ,
არ შევლახეთ;
თუმცა სისხლით
შემოსა
და ჩვენც სისხლში
გვქონდა სახე,
მაგრამ ტახტი
მონობისა
სამუდამოთ
ძირს დავამხეთ!
და აი, ამ
ჭიათურას,
ჩაბნელებულს
წლიდან - წლობით, —
დღეს ელმავალი
ქუდი ჰხურავს
და ამაყობს
მრეწველობით.

2. განგაში № მაღაროში

მაღაროელნო!
სმენა:
გარღვევა,
გვემუქრება!
მუშათა
დენა —
ფრენას
ბრძოლას უცხადებს
კრება.
დავკრათ,
რომ აღარ იყოს
ჩვენ შორის
ჩამორჩენა;
რომ ზიზღით
გაირიყოს,
ვინც მისდევს
დღის გაცდენას!
ბრძოლა
სიმულიანტებს
და ბრძოლა
დეზერტირებს!
ვაშა,
ვინც ტემპს უმატებს,
ვაშა,
მაღაროს გმირებს!

—:—

ამხანაგებო!
კმარა მოთმენა,
კმარა დაყრდენა
ზარმაცთა მხრებზე!
ვისწავლოთ
ახალ ტეხნიკის ენა!
ავიღოთ კურსი
მაღაროებზე!
ავიღოთ კურსი
და დისციპლინით
ავწიოთ შრომის
ნაყოფის დონე!
ენტუზიაზმის
მჩქეფარე ჟინით
გავაასკეცოთ
ჩვენი ძალღონე!
ამხანაგებო!
მახვილ სიფხიზლით
ვადევნოთ თვალი
მავნებელ ძალებს
და შეგნებული
საერთო მიზნით
კვლავ დავიპყროთ
ახალ მწვერვალებს!
ამხანაგებო!
ნუ, ნუ დავზოგავთ
შრომის ორგულებს
და მაჩანჩალებს!
ვინც ხეტიალობს
უსაქმურ ჯოგად,
დავარტყათ მაგრად,
ავცვეთოთ მალე!

3. ხმები მასიდან

— მაშ, ჩვენ ჩამოვრჩით? არვის დაუთმობთ!—
ვაი, სირცხვილო!
რა სათაკილო
ხვედრი გვრგებია!
და რომ ეს ჩირქი
მუს მოიცილონ
მოწინავეთა
რიგში დგებიან.
— ჩვენ პირველობას
ღელავს მასა და
მფრინავი კრება.
— სწორია, სწორი!
ვგმობთ და
უარვყოფთ
გეგმის ჩაფუშვით
ვინც გვემუქრება!

4. ერთხმად

მაშ, აღვმართოთ
ძმებო ლომი,
მარგანეცი
ვაპოთ,
ვთხაროთ;
ჩვენ გვეკუთვნის
ჩვენი შრომით
ეს სიმდიდრის
უხვი წყარო
მარჯვეთ,
ჯარო,
მკლავ მაგარო,
მრეწველობას
დავეხმაროთ!
და იბრძვიან
მთების გულში,
სადაც შუქი
კრთის და
ბჟუტავს
და შავიქვის
შავ ჯურღმულში
მტვერს და ჰაერს
ყველა სრუტავს.
ასეა და
აქეთ შეგნებაც,
რომ მათია
რაც იქმნება!
დაჰკათ, ძმებო,
დაჰკათ ლომი!
დრო არ იცდის,
ჩვენც ვიჩქაროთ!
ბოლშევიკურ
შრომით,
ომით
ვასახელოთ, ეს მაღარო
და ათასი
მტკიცე ხელი,
დაკოჟრილი,
მოუღლელი,
სცემს
წერაქვებს,
სჭიმავს
ძარღვებს,
სტეხავს
შავ ქვებს
და კლდეებს
არღვევს!
ერთად
დგომა,
ერთად
შრომა,
ხიფათი და
მასთან ბრძოლა, —
ვერ აშინებთ
ხერელში ძრომა
და ვერც ზვავის
ჩამოწოლა!
დაჰკათ, ძმებო,
დაჰკათ მტკიცედ,
რომ ჩვენს ქარხნებს
მარგანეცი
ას პროცენტზე
მეტი მივცეთ!
ჰო-და,
აჰა:
ეს რონოდაც
დაიტვირთა,
არ დახანდა;
დაიძრა და
ლიანდაგზე
არაკრაკდა,
აკაკანდა!
დაჰკათ, ძმებ,
დაჰკათ შავ კლდის,
რომ მადანი,
შავი ოქრო,
ინდუსტრიას
არ დააკლდეს!
დამკვრელების
მტკიცე ხელი,
დაკოჟრილი,
მოუღლელი, —
ჰქმნის სიმდიდრეს
საარაკოს,
რომ თვით ირგოს,
სხვასაც არგოს!
ამაშია:
აზრი,
მცნება,
დისციპლინა,
მასის ნება,
ენერგიის
წვა და გზნება
ტექნიკა და
ხელოვნება!
მაშ, აღვმართოთ
ძმებო ლომი,
შრომაშია
ხსნა და შვება,
ვინც ხელს გვიშლის,
ჩვენი წყრომით
ის ჩვენს ლავას
ქვეშ მოჰყვება
და თუ შეგვხვდა
მტერთან ომი,
იგიც მალე
ალიგვება!

—:—

არ დაუშვათ
ხეტიალი
კოლექტივს თუ
მაღაროში;
შევებრძოლოთ
მთელი ძალით
დენადობას
დამკვრელ დროშით!
ვაიძულოთ,
ვაერთგულოთ
თვითეული
მასის ნებას;
წარმატებით
შევასრულებთ:
ცეკას
მტკიცე დავალებას!

ქ. ჭიათურა — 1933

საბჭოთა კონსტიტუციის 10 წლისთავი

საბჭოთა კავშირის ცაკი, ამხ. კალინინს

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მეათე წლის თავზე, ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშრომელთა სახელით ამიერ-კავკასიის ცაკი ესალმება საბჭოთა კავშირის ცაკს. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მეათე წლის თავი ბრწყინვალედ ადასტურებს, რომ სწორად ტარდებოდა ლენინური ნაციონალური პოლიტიკა, რომელმაც საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. სტალინის მეთაურობით, მიიყვანა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე გრანდიოზულ გამარჯვებამდე.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშრომელთა ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ)-ს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. სტალინის მეთაურობით!

ა. ქ. ცაკის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მეათე წლის თავი—ლენინურ ნაციონალური პოლიტიკის ზეიმია

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-10 წლისთავთან დაკავშირებით, ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მუსაბეკოვმა მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარის ამხ. კალინინის სახელზე და გაზეთ „პრავდა“-ს და „იზვესტია“-ს რედაქციების მისამართით, გაგზავნა შემდეგი დეპეშა:

„მეათე წლისთავი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციისა, რომელიც მოპოვებულია ოქტომბრის გამარჯვების შედეგად,—ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ზეიმია. ცარიზმის და იმპერიალიზმის ყოფილი უუფლებო კოლონიის— ამიერ-კავკასიის მშრომელები, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად, ენტუზიაზმით ახალ-ახალი წარმატებით აშენებენ სოციალიზმს ახლო აღმოსავლეთის საზღვარზე. პირველი ხუთწლედის შესრულების შედეგად, ჩამორჩენილი აგრარული განაპირა რაიონი ინდუსტრიალურ მხარედ გადაიქცა. მეორე ხუთწლედის გრანდიოზული გეგმები, რომელთა განხორციელება წარმატებით დაიწყო 1933 წელს, გამარჯვება ნავთისა და ბამბისათვის ბრძოლის ფრონტზე, მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებანი, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცება ამიერ-კავკასიის სოფელში— აშკარად მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა მკვიდრო ერთობის პირობებში, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გადაუხრელად გატარებით, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, საბჭოთა კავშირის ნაციონალური პოლიტიკის გენიალური გამომხატველის—ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, ა. ქ. ს. ფ. ს. რ. რესპუბლიკის მშრომელები შეასრულებენ მეორე ხუთწლედს, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ამ ხუთწლედს,—გეგმებს და კიდევ უფრო განამტკიცებენ მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის უნარიანობას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს—ნაციონალური საკითხის გადაჭრის ნიმუშს და მსოფლიო რევოლიუციური მოძრაობის მეღროშეს!

ა. ქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
მუსაბეკოვი.

გარდაიცვალა უკრაინის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანაშემწე პ. პ. ლებედევი

ხარკოვი, 4 ივლისი. გარდაიცვალა უკრაინის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანაშემწე ამხ. პავლე პავლეს-ძე ლებედევი.

ამხ. ლებედევის სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული წითელი არმიის ორგანიზაციასა, საბრძოლო საქმიანობასა და გამარჯვებებთან. იგი იყო გამოჩენილი სამხედრო სპეციალისტი, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია შესწირა პროლეტარული დიქტატურის შეიარაღებული ძალების მშენებლობის საქმეს. პარტიამ და მთავრობამ სამოქალაქო ომის დასაწყისიდანვე მიანდვეს ამხ. ლებედევს მუშურ - გლეხური წითელი არმიის შტაბის უფროსის პასუხსაგები პოსტი. სამოქალაქო ომის შემდეგ ამხ. ლებედევი, მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, დაუღალავად მუშაობდა, წითელი არმიის განმტკიცების საქმისათვის უკრაინის სამხედრო ოლქის უფროსის პასუხსაგებ პოსტზე, ხოლო შემდეგ ოლქის ჯარების სარდლის პოსტზე.

მოსკოვი, 4 ივლისი. საბჭოთა კავშირის რევსამხედრო საბჭოს ბრძანებით, წითელი არმიის წინაშე ამხ. პავლე პავლეს-ძე ლებედევის განსაკუთრებული დამსახურების აღსანიშნავად, კიევის საარტილერიო სკოლას ეწოდა ამხ. ლებედევის სახელი.

მოსკოვი, 4 ივლისი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ გარდაცვლილ ამხ. ლებედევის ოჯახს დაუნიშნა პერსონალური პენსია 500 მან. ამხ. ლებედევის მეუღლეს ბინა რჩება მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში.

მოსკოვი, 4 ივლისი. საბჭოთა კავშირის რევსამხედრო საბჭო, უკრაინის სამხედრო ოლქის რევსამხედრო საბჭო, უკრაინის ცაკის პრეზიდიუმი და სახკომსაბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამდენ უკრაინის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანაშემწის ამხ. ლებედევის გარდაცვალების გამო .(ადს).

აპირებენ ეკონომიური კონფერენციის გადადებას

ლონდონი, 4 ივნისი. 4 ივლისს დანიშნულია კონფერენციის ბიუროს სხდომა; განუსაზღვრელი დროით კონფერენციის გადადების საკითხის განსახილველად. (ადს).

კენინგის ინტერვიუ ამხ. ლიტვინოვთან

ლონდონი, 5 ივნისი. ლიბერალური „ნიუს-ქრონიკლი“ თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავს კემინგსის ინტერვიუს ამხ. ლიტვინოვთან. შესავალ ნაწილში კემინგსი აცხადებს: ლიტვინოვმა ბევრად უფრო მეტი რამ გააკეთა, ვიდრე სხვა რომელიმე დელეგატმა ან დელეგატთა ჯგუფმა და გააკეთა არა მარტო სსრკ-სთვის, არამედ ევროპის პოლიტიკური და ეკონომიური მშვიდობიანობისათვისო კემინგსის სიტყვით, ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის ლიკვიდაციით და თავდაუსხმელობის პაქტების დადებით ამხ. ლიტვინოვმა „მნიშვნელოვნად აამაღლა საბჭოთა პრესტიჟი ქვეყნებში რომელსაც გნებავთ ნაწილში“. ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა: საბჭოთა მთავრობამ ყოველი შესაძლებელი ღონისძიება იხმარა მსოფლიოს ეკონომიური კონფერენციისათვის დასახმარებლად, თუმცა ამ კონფერენციისაგან იგი არაფერს გამოელოდა. „კონფერენციის მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო,—თქვა ამხ. ლიტვინოვმა,—რომ თითოეულ ქვეყანას, რომელიც ლონდონში დელეგაციას გზავნიდა, ჰქონდა თავისთვის ხელსაყრელი გარიგების მოხდენისა“. ამხ. ლიტვინოვმა ამას დასძინა: მე არა მჯერა ტარიფების შემცირება და არც ის, რომ ეს შემცირება ხელსაყრელი იყოსო.

„უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, —განაცხადა ამხ. ლიტვინოვმა,—რომ გამოვნახოთ საერთაშორისო ვაჭრობის გაძლიერების გზა. გამოვნახოთ ბაზრები, გავადიდოთ საწარმოთა ძლიერება და გამოვარკვიოთ, თუ რომელ ქვეყნებს შეუძლიათ გაადიდონ თავიანთი იმპორტი და რა პირობებით“.

შეკითხვაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს მსოფლიო ეკონომიური კონფერენციის გადადების ხანაში, ამხ. ლიტვინოვმა უპასუხა: არ არსებობს სხვა რაიმე საშუალება საერთაშორისო აქციისთვის აქცია მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნების ჯგუფისა, მაგრამ მე არა ვარ მომხრე ამნაირი დაჯგუფებისა, რომელნიც ერთგვარი ომის მომასწავებელნი არიან.

შემდეგომ ამხ. ლიტვინოვმა აღნიშნა: სსრკ-ს სახელით მე წინადადება წამოვაყენე, რომ ვაჭრობა გაგვეცხოველებინა საზღვარგარეთ საბჭოთა შეკვეთების მნიშვნელოვნად გადიდების გზით.

„ჩვენ ვაჭრობაზე მარტო ლაპარაკს როდი ვჯერდებით. ჩვენ ეს წინადადება წამოვაყენეთ ყველა ქვეყანას, მათ შორის ჩვენი საკუთარი ქვეყნის ინტერესებისთვისაც. მაგრამ თუ ეს აუცილებელი იქნება, ჩვენი განვითარება დამოუკიდებელი გზით წარიმართება“.

შემდეგ ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ იგი კმაყოფილია ინგლის-საბჭოთა კავშირის ახალი სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკების განახლებით. „მაგრამაო“—დასძინა ამხ. ლიტვინოვმა,—ჩვენ ფრიად დიდად ცხოველ მნიშვნელობას მივაწერთ იმას, რომ ჩვენი და ბრიტანეთის ურთიერთობა თავისუფალი იყოს პოლიტიკური ხასიათის მიზეზების გამო შეწყვეტის გამუდმებული მუქარისაგან. უკანასკნელი წლებისა და თვეების გამოცდილებამ ცხადყო, რომ ასეთი შეწყვეტა ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს ჩვენს ხალხზე. როგორ შეგვიძლია ვიკისროთ სამრეწველო ფირმებისადმი გრძელვადიანი ვალდებულებანი, თუ კი ერთგვარად დარწმუნებულნი არ ვიქნებით პოლიტიკური მშვიდობიანობისა და სტაბილურობის შესახებ.

დასასრულ ამხ. ლიტვინოვმა აღნიშნა: ახალი ხელშეკრულების დადების დროს, ჩვენ უკუვაგდებთ ყოველგვარ ცდას, მიმართულს იმისაკენ, რომ სსრკ-სადმი დადგენილ იქნას დისკრიმინაცია, ან რაიმე შესაძლებელია დაბრკოლებები შეგვიქმნანო (ადს).

რიონჰესი

დამთავრდა პირველი რიგის სამუშაოები, იწყება სადგურის საცდელი გაშვება

„კომუნისტი“-ს რედაქციას

4 ივლისს 1 რიგის რიონჰესზე დაგებულ იქნა უკანასკნელი კუბიკური მეტრი ბეტონი და რკინაბეტონი.

ამით დამთავრდა 1 რიგის სამუშაოები და რიონჰესის სამმართველო იწყებს სადგურის გაშვებას.

14 ივლისს პირველად იქნება გაშვებული წყალი სადერივაციო გვირაბებსა და ჰიდრო - სადგურის აუზში და დაიწყება მათი გამოცდა.

წყლის გაშვებიდან 10 დღის შემდეგ მუშაობას დაიწყებს რიონის ჰიდრო - ელსადგურის პირველი ტურბოგენერატორი.

ვ. ჟიჟინაძე.

გ. ტაბიძის 25 წლის სამწერლო მოღვაწეობის საიუბილეო საღამო

გუშინ საღამოს, სახელმწიფო ოპერის თეატრში შესდგა გ. ტაბიძის 25 წლის სამწერლო მოღვაწეობის საიუბილეო საღამო. საღამო გახსნა საქ. საბჭ. მწერლების კავშირის თავმჯდომარემ ამხ. მ. ტოროშელიძემ. თავის სიტყვაში ამხ. ტოროშელიძემ დაახასიათა გ. ტაბიძის შემოქმედება. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდენ პარტიულ, პროფესიონალური და საზ. ორგანიზაციების წარმომადგენლები: ს. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის სახელით, ამხ. ალამალიანი, ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სახელით ამხ. ვ. იმედაძე, საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით ამხ. ბ. ჟღენტი, პოეტს მიესალმა ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონების სარემონტო ქარხნის მუშების დელეგაცია აჭარისტანის პარტიული, საბჭოთა და პროფეს. ორგანიზაციების სახელით ამხ. დ. დუმბაძე, აგრეთვე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ გან. მუშ. კავშირის ც. გამგეობის, ტფილისის საბჭოს გან. განყოფილების და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. კრება მხურვალე ტაშით შეხვდა საქ. ცაკის დადგენილებას გ. ტაბიძისათვის დამსახურებული სახალხო პოეტის სახელის მინიჭების შესახებ.

ბოლოს მოსმენილ იქნა მხატვრული განყოფილება. თავიანთი ლექსებით გამოვიდენ გ. ქუჩიშვილი, გ. გორგაძე, სანდრო მგელაძე, კალე ბობოხიძე და სხვ. წაკითხულ იქნა აგრეთვე გ. ტაბიძის ლექსები ვ. ჩხეიძის, დ. გაგუას, ხათუნა ჭიჭინაძის და სხვ. მიერ.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე

საბჭოთა კოოპერაცია სოციალისტურ მშენებლობის მოწინავე პოზიციებზე

მაღაზიის მუშაკებო! დაეუფლეთ ვაჭრობის ტექნიკას, მოსპეთ გაუპიროვნება, უპასუხისმგებლობა, გვიჩვენეთ ფაბრიკა-ქარხნების და სოციალისტური მინდვრების დამკვრელთა ბოლშევიკური მომსახურების მაგალითები

კოოპერაციის საერთაშორისო დღე

ამახწინათ, ბრიუსელში შესდგა საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის (ალიანსის) აღმასკომის სხდომა, რომელმაც მიიღო „მანიფესტი" „მთელი მსოფლიოს კოოპერატორებისადმი".

„ომის და კრიზისის მიუხედავად, — ვკითხულობთ ამ „მანიფესტში", — კოოპერაცია მტკიცდებოდა და მიდიოდა წინ თავისი პრინციპების სისწორის და თავისი მეთოდების რაციონალიზაციის მეოხებით. კოოპერაციის განვითარება უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიური ცხოვრების აღდგენასთან, მშვიდობიანობისათვის მხარის დაჭერასთან, ცივილიზაციის პროგრესთან".

აი ამგვარად თვალთმაქცები, იმპერიალისტური ბურჟუაზიის აგენტები საერთაშორისო კოოპერატიული კავშირიდან, ცდილობენ თვალი აუხვიონ სამომხმარებლო კოოპერაციაში გაერთიანებულ და ეკონომიური კრიზისისაგან განადგურებულ მილიონებს, რომელთა დიდი ნაწილი ნახევრად შიმშილობაშია და სამუშაოს დაეძებს. მსოფლიო ეკონომიური კრიზისი ამცირებს არა მარტო წარმოებას, არამედ მოხმარებასაც, რაც მშრომელი მასების სყიდვითიუნარიანობის კატასტროფიული შემცირების და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესების შედეგია. საცალო ვაჭრობა, კერძოდ სამომხმარებლო კოოპერაციის ვაჭრობა კაპიტალისტურ ქვეყნებში — სისტემატიურად მცირდება. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში საცალო ვაჭრობა შემცირდა 6 მილიარდი დოლარით, ინგლისში — 6,4 პროც., გერმანიაში — 12,5 პროც. საქონლის საცალო ბრუნვის შემცირებასთან ერთად, კაპიტ. ქვეყნების სამომხმარებლო კოოპერაციაში ადგილი აქვს წევრთა რიცხვის, საპაიო შენატანების და ანაბარების შემცირებას (ინგლისი, გერმანია, ჩეხოსლოვაკია, დანია და სხვა).

საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის ცალკე სექციები და მთელი ხელმძღვანელობა, რომელმაც არაერთხელ უარყო საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაციის წარმომადგენელთა წინადადებანი ახალი ომების მზადების წინააღმდეგ ბრძოლის მოწყობის შესახებ, ამ ომების მომზადების მიზნით აშკარად თანამშრომლობს იმპერიალისტებთან, კაპიტ. ქვეყნების მთავრობათა სამხედრო სამინისტროებთან. იტალიის, გერმანიის, პოლონეთის და სხვ. ქვეყნების კოოპერატორები აქტიურად ეხმარებიან ფაშისტურ ბურჟუაზიას მუშათა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. გერმანიის კოოპერაციის ცენტრალური კავშირის გამგეობამ (ჰამბურგში) ასეთი წერილით მიმართა ჰიტლერს: „სამომხმარებლო კოოპერაცია ემსახურება ხალხს და სახელმწიფოს. გერმანიის სამომხმარებლო კოოპერატივები და მათი ცენტრები, რომლებიც თავიანთ ტრადიციების ერთგულნი არიან, თავისთავს მთლიანად აცხადებენ საიმპერიო ხელისუფლების განკარგულებაში, რათა გერმანული მეურნეობის აღდგენის საქმისთვის ითანამშრომლონ ამ ხელისუფლებასთან". მჭიდრო თანამშრომლობა და დახმარება ფაშიზმს — ასეთია სამომხმარებლო კოოპერაციის სამოქმედო პროგრამა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

კაპიტ. სამომხმარებლო კოოპერაციის დაცემის და დაქვეითების ამ ფონზე, სრულიად სხვაგვარად მოჩანს საბჭოთა სამომხმ. კოოპერაციის ის უდიდესი მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია განსაკუთრებით პირველი ხუთწლედის განმავლობაში. მოსახლეობის ფართო მასების მატერიალურ-ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესება, რეალური ხელფასის ზრდა, საქონლის ბრუნვის, კერძოდ საცალო ვაჭრობის ზრდა, კოოპერაციაში შეკავშირებულთა რიცხვის და საპაიო შენატანების ზრდა, აი რით ხასიათდება საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა. სახელმწიფო-კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაციების საცალო ბრუნვა 1932 წელს გამოიხატა 39,9 მილიარდი მანეთით. აქედან მარტო სამომხმარებლო კოოპერაციისაა — 19 მილიარდი მანეთი 1933 წელს სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო ბრუნვა საბჭოთა კავშირში მიაღწევს 23 მილიარდ მანეთს. 1930 წელს საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაციაში შეკავშირებული იყო 36 მილიონამდე მომხმარებელი, ახლა კი შეკავშირებულია 85 მილიონზე მეტი და სხვ.

საქართვ. სამომხმარებლო კოოპერაციას საბჭოთა კულტურული ვაჭრობის განვითარების დარგში გარკვეული მიღწევები გააჩნია. საქონლის ბრუნვა 54 მილიონიდან (1927 წ.) გაიზარდა 309 მილიონ მანეთამდის (1932 წ.). მიმდინარე წელს კი საქონლის ბრუნვა მიაღწევს 360 მილიონ მანეთს.

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში სავაჭრო წერტების რიცხვი გაიზარდა 2.931-დან 3.415-მდის (ქალაქად 17 პროც. და სოფლად 20 პროცენტით). დღეს, ერთ წერტზე მოდის მოსახლეობის 814 სული, გასული წლის 930-ის ნაცვლად. იზრდება შეკავშირებულთა რიცხვი და საპაიო შენატანები. ამჟამად საქ. სამომხმ. კოოპერაციაში შეკავშირებულია 1.410 ათასამდის მომხმარებ., ხოლო საპაიო შენატანი აღწევს 25 მილიონს. გარკვეული მიღწევები მოპოვებულია საზოგადოებრივი კვების განვითარების დარგში:

ეს მიღწევები სინამდვილეა, უკვე მოპოვებულია. საჭიროა მათი განმტკიცება და წინსვლა კიდევ უფრო ჩქარი ტემპებით. საჭიროა მიმდინარე ეტაპზე სამომხმარებლო კოოპერაციის უმთავრესი ამოცანების გამოყოფა და მათ გადასაჭრელად მასების ბოლშევიკური მობილიზაცია. ამოცანების ამ ჯგუფიდან, რომელიც ახლა დგას სამომხმ. კოოპერაციის წინაშე, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ შემდეგი საკითხები: **სავაჭრო კოოპერატიული აპარატის გაწმენდა კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან, სოფლის კოოპერატივის განმტკიცება. ფასების საბჭოთა პოლიტიკის მართებულად გატარება და საბჭოთა კულტურული ვაჭრობის ტექნიკის ნამდვილად დაუფლება.** ამ უმთავრესი ამოცანების, განსაკუთრებით კი **სოფლის კოოპერატივის სამეურნეო - ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცების** ამოცანის განსახორციელებლად უნდა დავრაზმოთ ამჟამად სავაჭრო-კოოპერატ. აპარატის მუშაკები და მომხმარებელთა ფართო მასები.

განსაკუთრებით ამჟამად, როდესაც ჩვენ შევედით მოსავლის მასობრივი აღების სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების პერიოდში, სამომხმარებლო-კოოპერაციის და ყველა სახელმწიფო-სავაჭრო ორგანიზაციის წინაშე დგას საპატიო ამოცანა: მაღალხარისხოვანი, ბოლშევიკური მომსახურება გაუწიოს ამ უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიას. **იაფი და კარგი ხარისხის საქონელი სოფელს, პირველ რიგში და უმთავრესად იმ სოფელს და კოლმეურნეობებს, რომლებიც პირველნი, მთლიანად და ვადაზე შეასრულებენ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმას — ასეთია ამოცანა.**

საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელიც დღემდე წარმატებით ანხორციელებდა ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის ბრუნვის გაშლის და მუშათა მომარაგების შემდგომი გაუმჯობესების ამოცანას, საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელი ბელადის ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით მომავალშიაც სწრაფი ტემპებით გასწევს წინ და მთელ თავის მუშაობას დაუმორჩილებს მეორე ხუთწლედში უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების ინტერესებს.

ტფილისის ლოისევას მუშათა დახურული კოოპერატივის № 8 მაღაზია. ფეხსაცმელებით ვაჭრობა

საბჭოთა სამომხმარებლო კოოპ. გზა

საბჭოთა კავშირის მთელ სახალხო მეურნეობასთან ერთად იზრდება და ვითარდება ჩვენი სამომხმ. კოოპერაცია. კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში წარმოების განაწილების და მოხმარების ანარქიული წესისაგან განსხვავებით საბჭოთა მეურნეობის გეგმიანი სისტემა ქმნის კოოპერაციის ჩქარი ზრდის ყველა პირობებს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში კოოპერაციის კრიზისისა და დაქვეითების დროს საბჭოთა კავშირში ჩვენ გვაქვს სამომხმ. კოოპერაციის ზრდის დიდი ტემპები, რაც მთლიანად გამომდინარეობენ საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებისაგან. გაითვალისწინა რა ჩვენი სახელმწიფოს და მუშათა კლასის ინტერესები, პარტიამ აიღო საბჭოთა კულტურული ვაჭრობის გაშლის სწორი ხაზი, რამაც უზრუნველყო დიდი გამარჯვების მოპოვება საქონლის ბრუნვის განვითარების და მუშათა მომარაგების გადაჭრით გაუმჯობესების დარგში. სისტემატიურად იზრდება ჩვენში საქონლის ბრუნვა და სავაჭრო ქსელი, განსაკუთრებით სწრაფად იზრდება საქონლის საცალო ბრუნვა.

აი რას ლაპარაკობენ ციფრები. 1930 წელს საქონლის ბრუნვა საბჭოთა კავშირის სამომხმ. კოოპერაციის ხაზით უდრიდა 13,6 მილიარდ მანეთს, 1932 წელს 19 მილიარდ მანეთს, 1933 წლისათვის კი იგი მიაღწევს 23 მილიარდს. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა კოოპერაციაში მოსახლეობის შეკავშირების და საპაიო თანხების ზრდას, რასაც ადასტურებს შემდეგი ცნობები:

ამჟამად საბჭ. კავშირის სამომხმ. კოოპერაციაში გაერთიანებულია 80 მილიონამდე მშრომელი; წევრთა რიცხვის და საპაიო თანხის ზრდასთან ერთად სისტემატიურად უმჯობესდება მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობა და იზრდება მათი სყიდვითი უნარიანობა. ამაზე მიუთითებს შემდეგი ცნობები: მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა საქონელი უცვლელ ფასებში 1927-28 წ. ქალაქად—292,2 მან. სოფლად—32,3 მან., 1932 წელს კი ქალაქად—425 მან. და სოფლად—65,4 მან.

გაიზარდა სავაჭრო ქსელი. მარტო 1932 წელს საბჭოთა კავშირში გაიხსნა 7.100 ახალი სავაჭრო წერტი. 1928 წლიდან 1933 წლამდე სავაჭრო წერტების რიცხვი გაიზარდა 76.930-ით; მიმდინარე წლის დამლევისათვის სამომხმ. კოოპერაციის სავაჭრო წერტების რიცხვი მარტო სოფლად მიაღწევს 123.962-ს.

საბჭოთა კავშირის სამომხმ. კოოპერაციის განვითარების საერთო ტემპებს არ ჩამორჩება **საქ. სამომხმ. კოოპერაციაც**. მიმდინარე წლის დასაწყისისათვის მას ჰქონდა შემდეგი მაჩვენებლები: სისტემის ყველა ორგანიზაციის რიცხვი ერთი წლის განმავლობაში 695-დან გაიზარდა 715 ერთეულამდე, აქედან 634 სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებაა, ხოლო 49—წვრილი მუშკოოპი. ერთი წლის განმავლობაში 30,8 პროცენტით გაიზარდა მუშათა დახურული კოოპერატივების რიცხვი.

ყოველწლიურად იზრდება საქონლის ბრუნვა. მაგ. 1927 წელს საქონლის ბრუნვა საქ. სამომხმ. კოოპერაციაში უდრიდა 54 მილიონ მან., 1931 წელს—245 მილიონს, 1932 წელს—309 მილიონს, მიმდინარე წელს კი იგი მიაღწევს 360 მილიონ მანეთს. როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, საქონლის ბრუნვა საქ. სამომხმ. კოოპერაციაში 1927 წელთან შედარებით გაზრდილია ექვსჯერ.

სავაჭრო წერტების რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში 2991-დან გაიზარდა 3415-მდე (17 პროცენტით). სასოფლო ქსელი კი გაიზარდა 20 პროც. საშუალოდ ერთ წერტზე წელს მოდის მოსახლეობის 814 სული, გასული წლის 930-ის ნაცვლად.

1933 წლის 1-ლ იანვრისათვის საქ. სამომხმარებლო კოოპერაციაში შეკავშირებული იყო 1.409.000 მომხმარებელი, 1932 წლის 1-ლ იანვრის 1.203.900 ნაცვლად (ზრდა უდრის 205.100-ს, ანუ 17,1 პროც.). საპაიო კაპიტალი 17.437.100 მანეთიდან გაიზარდა 24.735.000 მანეთამდე; ამასთან თითოეულ მეპაიეს საშუალო საპაიო შესატანი უდრის 17 მან. და 55 კაპ. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში დამზადებულია 18.684.000 მანეთის პროდუქტები. წლის განმავლობაში საზკვების ხაზით გაშვებულია 31.059.400 კერძი, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 51.7789.500 მანეთს; აქედან დახურული კოოპერატივების მიერ გაშვებულია 19.146.900 მან. კერძი და სხვ.

მიღწევებთან ერთად აღსანიშნავია ჩამორჩენა მიმდინარე წლის პირველი 5 თვის გეგმის შესრულებაში. პირველ კვარტალში საქონლის ბრუნვა უდრიდა 79 მილიონს, აპრილში — 26.600.000, ხოლო მაისში—30 მილიონ მანეთს. საერთოდ, პირველი ხუთი თვის განმავლობაში საქონლის ბრუნვა უდრიდა 135,6 მილიონ მანეთს რაც წლიური გეგმის 35,8 პროცენტს შეადგენს.

საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 1932 წლის სექტემბრის პლენუმმა საბჭოთა ვაჭრობის განვითარების შესახებ საკითხის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სოფლის კოოპერატივის მუშაობას. პლენუმმა სამომხმ. კოოპერაციის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად დასახა სოფლის კოოპერატივის სამეურნეო-პოლიტიკური განმტკიცება, რადგანაც სოფლის კოოპერატივი წარმოადგენს სოფლის საქონლით მომარაგების ძირითად რგოლს. სექტემბრის პლენუმის ამ დირექტივის შემდგომ რეალიზაციას ხელი უნდა შეუწყოს სოფლის კოოპერატივების განმტკიცების ერთთვიურმა, რომელიც ახლა ტარდება საქართველოში.

მოპოვებული დიდი მიღწევების განმტკიცება, მუშაობაში შემჩნეული დეფექტების ბოლშევიკურად გამოსწორება, საბჭოთა კულტურული ვაჭრობის შემდგომი განვითარება, ვაჭრობის ტექნიკის დაუფლება, ფასების საბჭოთა პოლიტიკის სწორად გატარება, სავაჭრო-კოოპ. აპარატის გაწმენდა კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან, მომხმარებლის მომსახურების გადაჭრით გაუმჯობესება და ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის ბრუნვის კიდევ უფრო გაშლა— ასეთია საბჭოთა სამომხმ. კოოპერაციის უახლოესი ამოცანები. პარტიის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით სამომხმ. კოოპერაცია შეასრულებს ამ ამოცანებს.

ნ. ამირალოვი.

განვამტკიცოთ სოფლის კოოპერაცია

საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 1932 წლის სექტემბრის პლენუმმა იმ მიზნით, რომ ორგანიზაციული და სამეურნეო მხრით განმტკიცდეს სოფლის სამომხმარებლო საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს სოფლად საქონლის მომარაგების ძირითად რგოლს, დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები. ამის შემდეგ გავიდა 9 თვეზე მეტი, ცეკას ეს ღონისძიებანი კი მთლიანად არ არის შესრულებული. საქართველოში სოფლის კოოპერატივების განმტკიცების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმის დირექტივის ბოლომდის განსახორციელებლად, ცეკავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით 20 ივნისიდან ტარდება სოფლის კოოპერატივებისათვის დახმარების გაწევის ერთთვიური შემდეგ რაიონებში: ზუგდიდი, აბაშა, ბორჩალო, აჭარისტანი, ხონი, სენაკი, სამტრედია, ონი, ამბროლაური, ზესტაფონი, გორი, სტალინისი, ყარაია, ჩხოროწყუ, ბაშკიჩეთი, თელავი, თიანეთი, ლაგოდეხი, ალბულაღ-მანგლისი, ბაღდათი, ვანი, ლიუქსემბურგი, სარაგოული და წალენჯიხა.

ერთთვიურის ჩასატარებლად გამოყოფილ მუშაკებს, რომლებიც გაგზავნეს რაიონებში, მიცემული აქვთ მუშაობის გარკვეული პროგრამა ყველა დარგში; ამ პროგრამის საფუძველზე უნდა შეიმუშაონ ღონისძიებები სოფლის კოოპერატივის განმტკიცებისათვის. ერთთვიურის დროს გამორკვეულ უნდა იქნას რამდენად მართებულადაა აგებული სავაჭრო ქსელი, რამდენად უზრუნველყოფს ია მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. უნდა განმტკიცდეს კავშირი სარაიონთაშორისო ბაზებსა და სოფლის კოოპ. შორის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის კოოპერატივების სავაჭრო და სამმართველო აპარატის განმტკიცებას კვალიფიციური კადრებით, გაფლანგვა-მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლას და სავაჭრო აპარატის თვითშემოწმებას.

ერთთვიურმა უნდა უზრუნველყოს სოფლის კოოპ. სავაჭრო საქმიანობის განმტკიცება, სავაჭრო-საფინ. გეგმის შესრულება საქონლის ასორტიმენტის მიხედვით, ბრძოლა დაგროვილი საქონლის ლიკვიდაციისათვის, ფასების საბჭოთა პოლიტიკის მართებულად გატარება და ბრუნვის ხარჯების შემცირება.

ერთთვიურის ერთერთი ცენტრალური ამოცანაა სოფლის კოოპერატივის ფინანსიური მდგომარეობის გამორკვევა და განმტკიცება, რადგან საჭიროა — „სამომხმარებლო კოოპერაციის საფინანსო მეურნეობის განმტკიცება, პირველ რიგში კი მართვა-გამგეობის გადაჭარბებული ხარჯების შემცირება, შინაგანი რესურსების მობილიზაცია". განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დებიტორთა დავალიანების ლიკვიდაციას, რომელიც უკანასკნელ ხანებში 18 მილიონს აღწევს; საპაიო თანხების შეგროვებას, გეგმის გარეშე, უმიზნოდ თანხების ხარჯვის აღმოფხვრას, სამეურნეო ანგარიშის მტკიცედ გატარებას და ამგვარად, სოფლის კოოპერატივის რენტაბელობის უზრუნველყოფას.

ერთთვიურის პერიოდში გამომჟღავნებული დეფექტების აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები აქტიურ დახმარებას გაუწევენ სოფლის კოოპერატივებს და ერთთვიურში ფართოდ ჩააბამენ მშრომელ მომხმარებელთა მასებს.

ი. ბ.

გავაძლიეროთ ბრძოლა გაფლანგვების და მტაცებლების წინააღმდეგ

სავაჭრო - კოოპერატიულ ორგანიზაციებში გაფლანგვის და მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლა და კოოპერატიული საკუთრების დაცვა დღიური ამოცანას წარმოადგენს. განსაკუთრებით საქ. სამომხმარებლო კოოპერაციაში, სადაც ხშირია კოოპ. ქონების ტაცება - განიავების და გაფლანგვის შემთხვევები, ამ ამოცანის განხორციელებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, რასაც დღემდის ადგილი არ ჰქონია. საერთოდ, ბრძოლა გაფლანგვების და მტაცებლობის წინააღმდეგ საქ. მომხ.. კოოპერაციის ქსელში მეტისმეტად სუსტად მიმდინარეობს.

ამ საკითხზე პარტიის და ხელისუფლების დირექტივებს და სახელმძღვანელო მითითებებს არ იცნობენ მეპაიეები და ზოგჯერ კოოპ. აპარატის მუშაკებიც. უმოქმედობას იჩენენ სარევიზიო კომისიებიც, რომლებიც ხშირად მარტო დადგენილებების მიღებას სჯერდებიან. ადგილებზე (მაგ. ბორჯომი) ფორმალურად ამუშავებენ გაფლანგვების და მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს. — ხშირად, ამ საკითხის დამუშავებას უყურადღებოდ სტოვებენ სხვა საკითხებს. (სავაჭრო — კოოპ. აპარატის მუშაკთა თვითშემოწმება, დანორმილი საქონლის ნატურალური აღრიცხვა და სხ.)

ცეკავშირმა ამ კამპანიის ირგვლივ ადგილებს დირექტივები დაუგზავნა აპრილს. მიღებული ცნობებით, გაფლანგვების და მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი დღემდის დამუშავებულია 21 რაიკავშირში, 8 მუშათა დახურულ კოოპერატივში, 9 მუშკოოპსა და ქალაქის 2 კოოპერატივში. ამ დამუშავების პრაქტიკული შედეგები კი ცეკავშირისათვის დღესაც უცნობია. ზოგიერთი რაიკოოპკავშირი (ახალქალაქისა, ახალციხისა, ადიგენისა, ტოლოშისა, ლუქსემბურგისა, ბორჩალოსი, სიღნაღისა, თელავისა, მცხეთისა, გორისა, სტალინისისა, ლაგოდეხისა, წალკისა, გურჯაანისა, ყაზბეგისა, დუშეთისა, ლანჩხუთისა, ჩოხატაურისა, ცაგერისა, ჩხარისა, ჩხოროწყუსი, ხობისა, მარტვილისა, აჭარისტანის და სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური სექციები) დღემდის არ გზავნის ცენტრში ცნობებს ამ კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. ზოგიერთები (ბაღდათის) გზავნიან შეუმოწმებელ და ყალბ ცნობებს, ხოლო ზოგიერთნი (საგარეჯოს, ბორჯომის და ონის რაიონები) მარტო რეზოლუციებით კმაყოფილდებიან და პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ. ამასთან, ადგილი აქვს დამახინჯებებს. მაგ: ხონის რაიონში გამოჰყვეს საატესტაციო კომისიები, რომელთაც დაავალეს სავაჭრო კოოპ. - აპარატის მუშაკთა თვითშემოწმების ჩატარება და შრომის სიების შევსება, რაც შეცდომაა. ნამდვილად კი სავაჭრო - კოოპ. აპარატის მუშაკთა თვითშემოწმებას ატარებს ცალკე კომისია, რომელიც არსებობს დროებით, თვითშემოწმების დამთავრებამდის. რაც შეეხება საატესტაციო კომისიებს, ისინი არსებობენ და მოქმედებენ მუდმივად და მათ მოვალეობას შეადგენს კვალიფიციური კადრების შერჩევა და ამათუიმ მუშაკის ვარგისობის შესახებ დასკვნის მიცემა. თვითშემოწმების კამპანიასთან დაკავშირებით ადგილებზე შეცდომები ჩაიდინეს, რაც დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. ზოგან, მიუხედავად კატეგორიული დირექტივისა, რომ ტარდება სავაჭრო - კოოპ. აპარატის თვითშემოწმება, კამპანიამ მიიღო წმენდის ხასიათი. მაგ. „საქგზატრანსის". მუშათა დახურული კოოპერატივის გამგეობის სხდომამ ა. წ. 22 მაისს გამოჰყვეს „წმენდის დამხმარე კომისია". მსგავს შეცდომას ადგილი აქვს სხვა რაიონებშიაც. საჭიროა ვიცოდეთ, რომ სავაჭრო — კოოპ. აპარატის მუშაკთა ახლანდელი თვითშემოწმება არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს წმენდას. ამ დარგში ჩადენილი შეცდომები დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

გაფლანგვების და მტაცებლობის შემთხვევების გახშირება ავალებს საქ. სამომხ. კოოპერაციის ხელმძღვანელობას ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლას მიაქციოს უფრო მეტი ყურადღება, ვიდრე აქამდის აქცევდა და მიიღოს გადამჭრელი ზომები ამ დარგში არსებული დეფექტების ლიკვიდაციისათვის. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ხელმძღვანელობის, კანცელიარული ბიუროკრატიული, ცირკულიარული მეთოდის შეცვლა ცოცხალი ხელმძღვანელობით და პრაქტიკული დახმარების გაწევით ადგილებისათვის, რასაც დღემდის არა აქვს ადგილი. გაფლანგვების და მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მასობრივად გაშლა სწორედ ამით, ხელმძღვანელობის მეთოდის შეცვლით უნდა დაიწყოს. ეს კარგად უნდა დაიხსომონ ცეკავშირელმა ამხანაგებმა.

ან. კ — ძე.

ბოლომდის გარდავქმნათ მუშაობა

ტფილისის სამომხმარებლო კოოპ. კავშირის პარტიამ უაღრესად სერიოზული ამოცანები დაუსახა: ტფილისის მშრომელთა უზრუნველყოფა პირველი მოთხოვნილების საქონლით, საბჭოთა კულტურული ვაჭრობის სათანადოდ დაყენება, საქონლის ბრუნვის დაჩქარება და სხვ.

საქ. სამომხმ. კოოპერაციის მნიშვნელოვანი გაერთიანების —საქკოოპროდუქტის" ტფილისის საცალო ქსელში ადგილი ჰქონდა საბჭოთა ვაჭრობის პრინციპების უხეშ დამახინჯებას, რის ნაშთებს ზოგან დღესაც შევხვდებით. კერძოდ ფასების საბჭოთა პოლიტიკის უხეში დამახინჯება გამოწვეული იყო საქონელზე პროცენტების დარიცხვის ნომენკლატურის უქონლობით, რაც ფართო გასაქანს აძლევდა სპეკულიაციას და ბოროტმოქმედებას.

ყოვლად შეუწყნარებელი მდგომარეობა იყო ტრანსპორტის დარგში. საქონლის გადაზიდვა ხდებოდა კერძო ფასებში, რაც ზრდიდა ბრუნვის ხარჯებს და მაშასადამე საქონლის ფასს. ეს მდგომარეობა ახლა შეიცვალა. ამჟამად, სახელმწიფო ორგანიზაციებთან დადებულია ხელშეკრულებანი, რის მიხედვითაც ხდება საქონლის გადაზიდვა. ამან „ტფილკოოპროდუქტს" უკვე ერთ თვეში მისცა 30 ათასი მან. ეკონომია. „საქკოოპროდუქტის" მუშაობაში სხვა ალმაშფოთებელ ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი. „საქკოოპროდუქტმა" ველური არტელებისაგან შეიძინა კონიაკი-ბოთლი 29 მან. იმ დროს, როდესაც შეიძლებოდა უკეთესი ხარისხის კონიაკის გაცილებით დაბალ ფასად შეძენა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისაგან. მარტო ამ ოპერაციამ გამოიწვია 150 ათასი მან. საქონლის დაგროვება და 50 ათასი მან. ზარალი. ამას გარდა, დღეს ტფილკოოპროდუქტის მაღაზიებში დაგროვილია 100 ათასი მანეთის თამბაქო; ამ საქონლის რეალიზაციის მიზნით „ტფილკოოპროდუქტმა" უნდა იზარალოს 50 ათასი მანეთი; ასეთი ფაქტი „საქკოოპროდუქტის" საქმიანობაში მრავალი იყო. ეს ფაქტები მოწმობს, რომ სამომხმ. კოოპერაციაში ჯერ კიდევ მოიპოვებიან სოციალურად და პოლიტიკურად მიუღებელი ელემენტები, ყოფ. ვაჭრები, გამფლანგველები, სპეკულიანტები და სხვ. საბჭოთა ვაჭრობისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები განსაკუთრებით მაშინ ამოძრავდენ, როდესაც დაისვა „ტფილკოოპროდუქტის" სისტემიდან მათი გაძევების და მაღაზიის რენტაბელობის განმტკიცების საკითხი. მაგ. მეთექვსმეტე მაღაზიის ყოფ. გამგე ახობაძე სასტიკი წინააღმდეგი იყო სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისა.

— თუ მაღაზიას სამეურნეო ანგარიშზე გადაიყვანთ, მე სამსახურიდან განმთავისუფლეთ — განაცხადა ახობაძემ. (იგივე შეიძლება ითქვას მე-4 მაღ. გამგის და სხვ. მუშაკების შესახებ) ასეთი განწყობილების შედეგად „საქკოოპროდუქტის" არც ერთი მაღაზია არ იყო გადაყვანილი სამეურნეო ანგარიშზე. „ტფილკოოპროდუქტის" ჩამოყალიბების შემდეგ (25 აპრილიდან) კი სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილია 9 მაღაზია და ერთი ფაბრიკა - სამზარეულო. ეს უკანასკნელი გადამუშავებული პროდუქტებით ამარაგებს „ტფილკოოპროდუქტის" ყველა მაღაზიას. წინასწარი შედეგები აშკარად მოწმობს, რომ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი მაღაზიები უკეთესად მუშაობენ. მაგ. № 16 მაღაზიის დღიური ბრუნვა სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანამდის აღწევდა 500 ან 1000 მანეთს, სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შემდეგ კი დღიური ბრუნვა 6 ათას მან. აღემატება. № 14 მაღაზიაში საქონლის ბრუნვა მეორე კვარტალში უდრიდა 480 ათას მან., მესამე კვარტალში სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შემდეგ კი უდრის 580 ათას მანეთს და სხვ.

განსაკუთრებული მუშაობა წარმოებს ფასების საბჭოთა პოლიტიკის მტკიცედ გატარებისათვის. ფასების ხელოვნურად გადიდებისათვის სამსახურიდან მოიხსნა და პასუხისგებაში იქნა მიცემული მაღ. № 83 გამგე კირვალიძე, რომელიც ასს გრამ ნამცხვარს ყიდდა 3 მანეთად, თუმცა კილო უნდა გაეყიდა 2 მანეთად. აგრეთვე მაღ. № 47-ის გამგე აკოპოვი ნაჭერ საპონს ყიდდა 2 მანეთის ნაცვლად 2-50 კაპ. მაღ. № 22 გამგე სიხარულიძემ გადამალა ასანთი კერძო ბაზარზე გასაყიდად. მაღ. № 47 გამგემ შეიძინა ძმარი კერძო ბაზარზე და ყიდდა აღნიშნულ მაღაზიაში და ფულს თვითონ ითვისებდა. ყველა ეს ბოროტმოქმე-

იმ რთული ამოცანების გადაჭრა, რომელიც დგას ტფილისის სამომხმარებლო კოოპერაციის წინაშე, მოითხოვს საბჭოთა ვაჭრობისადმი მტრულად განწყობილი ელემენტების მხილებას, მათ გაძევებას სავაჭრო კოოპ. აპარატიდან და ძირეულ რგოლისათვის (მაღაზია, საწყობი) ცოცხალი ხელმძღვანელობის გაძლიერებას. ეს უზრუნველყოფს საბჭოთა ვაჭრობის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

ლ. ტ.

ტფილისის სატრანსპორტო კოოპ. მაღაზია

სამომხმარებლო კოოპერაციის კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში

მეოთხე წელია მწვავე ეკონომიური კრიზისი მძვინვარებს კაპიტალისტურ ქვეყნებში. კრიზისის შენელების ნიშნები, რაზედაც ასე დიდ იმედებს ამყარებენ ბურჟუაზიული იდეოლოგები, არ ჩანს. ვერავითარი მოლაპარაკებანი და კონფერენციები,, რაც ასე გახშირდა უკანასკნელ ხანებში, ვერ შესძლებს დაიხსნას კაპიტალისტური. მსოფლიო თანამედროვე ეკონომიური კრიზისისაგან.

მრეწველობის პროდუქციის შემცირება, უმუშევართა არმიის ზრდა, მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის აბსოლუტურად გაუარესება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემცირება და მასზე ფასების დაცემა, მშრომელ გლეხთა გაღატაკება, შეკვეცა მსოფლიო ვაჭრობისა და საქონლის ბრუნვის, კატასტროფიული შემცირება როგორც საზოგადოებრივი, ისე ინდივიდუალური მოხმარებისა, რაც შედეგია მშრომელი მასების, პირველ რიგში კი მუშათა კლასის, სყიდვითი უნარიანობის შემცირების — ასეთია კაპიტალისტური ეკონომიკის დღევანდელი სურათი.

კაპიტალისტური ქვეყნების მეურნეობის დაცემისა და განადგურების ამ ფონზე ადვილი წარმოსადგენია, თუ რა პირობებში მოქმედებს სამომხმ. კოოპერაცია, რომელიც კაპიტალისტური მეურნეობის ყველაზე სუსტ რგოლს წარმოადგენს. მსხვილი მონოპოლისტური გაერთიანებანი და დიდი სავაჭრო ფირმები ვერ უძლებენ ეკონომიური კრიზისის გამანადგურებელ დარტყმას და ადვილად კოტრდებიან; ამ გზას ვერ ასცდა სამომხ. კოოპერაციაც, რომელიც კაპიტალიზმის პირობებში წარმოადგენს ბურჟუაზიის იარაღს მუშათა კლასის წინააღმდეგ შეტევისათვის, მისი ექსპლოატაციისათვის.

სამომხმ. კოოპერაცია ინაწილებს იმ ბედს, რომელიც წილად ხვდა მთელ კაპიტალისტურ მეურნეობას და კერძოდ საქონლის ბრუნვის დარგს; ვაჭრობის შემცირება, მთელი რიგი კოოპერატიული კავშირების გაკოტრება და ლიკვიდაცია, წევრთა რიცხვის და საპაიო შენატანების შემცირება და სხვ., — ასეთია კაპიტ. კოოპერაციის ხვედრი. ცნობები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, აშკარად ადასტურებენ ამ გარემოებას. ეს ცნობები მიუთითებენ, რომ კაპიტ. სამომხმ. კოოპერაცია, როგორც კაპიტალისტური მეურნეობის ერთერთი რგოლი, მოქცეული მწვავე ეკონომიური კრიზისის გავლენის ქვეშ, შევიდა დაშლის და განადგურების პერიოდში, ისე როგორც მთელი კაპიტალისტური მეურნეობა. რამდენიმე ცნობა ამაში ცხადად დაგვარწმუნებს.

საერთაშორისო კოოპერატიული კავშირი (ალიანსი), რომელშიაც შედის საბჭოთა სამომხმ. კოოპერაციაც, 1917 წელს აერთიანებდა 43.498 სამომხმარებლო საზოგადოებას, ხოლო 1930 წელს—31.051-ს, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირში იზრდება სამომხმ. კოოპერაცია. საბჭოთა სამომხმ. კოოპერაცია დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო კოოპკავშირში, როგორც წევრთა შეკავშირების, ისე საქონლის ბრუნვის დარგში. მაგ. 1929 წელს საერთაშორისო კოოპკავშირის წევრთა 69,30 პროც. გაერთიანებული იყო საბჭოთა სამომხმ. კოოპერაციაში, დანარჩენი ქვეყნების კოოპერაციაში კი გაერთიანებული იყო: დიდი ბრიტანეთის—12,8 პროც.; გერმანიის—5,9 პროც. და საფრანგეთის—2,9 პროც. იგივე უნდა ითქვას საქონლის ბრუნვაზეც. 1929 წელს საერთაშორისო კოოპ. კავშირის საქონლის საერთო ბრუნვაში საბჭოთა სამომხმ. კოოპერაციის ხვედრითი წონა აღწევდა 71.3 პროც., დიდი ბრიტანეთის—15,7 პროც., გერმანიის—4,2 პროც. და საფრანგეთის—1,5 პროც. ამგვარად, როგორც წევრთა რიცხვის, ისე საქონლის ბრუნვის დარგში საბჭოთა სამომხმ. კოოპერაციას საერთაშორისო კოოპ. კავშირში ეჭირა და დღესაც უჭირავს პირველი ადგილი.

ცალკე ქვეყნების მაგალითზე აშკარად მოჩანს სამომხმ. კოოპერაციის დაქვეითების პროცესი, რომელსაც ადგილი აქვს საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის ხაზით (გარდა საბჭ. კოოპერაციისა). მაგ., დიდბრიტანეთის სამომხმ. კოოპერაციაში კრიზისის დასაწყისშივე ადგილი ჰქონდა საპაიო კაპიტალის და ანაბარების შემცირებას. 1929 წელს საპაიო კაპ. და ანაბარები დიდბრიტანეთის სამომხმ. კოოპერაციაში შეადგენდა 216,96 მილიონ გირვანქა სტერლინგს, 1931 წელს კი შემცირდა 210.08 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე. საცალო ვაჭრობის ინგლისური საზოგადოების საერთო ბრუნვა 90 მილიონი გირვანქა სტერლინგიდან (1929 წ.) შემცირდა 81 მილიონ გირ. სტერლინგამდე (1931 წ.). საქონლის ბრუნვის, წევრთა რიცხვის და საპაიო კაპიტალის შემცირებას კრიზისის პერიოდში ადგილი აქვს აგრეთვე საცალო ვაჭრობის შოტლანდიურ საზოგადოებაში და ინგლისის საწარმოო კოოპერაციაში, რომელიც შედის დიდბრიტანეთის კოოპ. კავშირში.

გერმანიის სამომხმ. კოოპერაციის ცენტრალური კავშირის (ცენტრი ჰამბურგშია) საერთო ბრუნვა 1929 წელს უდრიდა 1.242 მილიონ მარკას, 1931 წელს კი შემცირდა 1.047 მილიონ მარკამდე. სამომხმ. კოოპერაციის საიმპერიო კავშირის (ცენტრი კელნშია) წევრთა რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში (1929-30 წ.) შემცირდა 120 ათასით, ხოლო საერთო ბრუნვა 21 მილიონი მარკით. უკეთესი სურათი არც საფრანგეთშია, სადაც საერთო საქონლის ბრუნვაში სამომხმ. კოოპერაციის ხვედრითი წონა არა აღემატება 0,4 პრ., მაშინ, როდესაც უნივერსალური მაღაზიებისათვის ეს პროცენტი აღწევს 5,3-ს და წვრილი სავაჭროებისათვის—5-ს.

განსაკუთრებული სიმწვავით განიცდიან ეკონომიურ კრიზისს სამომხმ. კოოპერატიული კავშირები ისეთ წვრილ კაპიტ. ქვეყნებში, როგორიცაა პოლონეთი, ჩეხო - სლოვაკია, დანია, ფინეთი, შვეცია, ლატვია და სხვ. პოლონეთის სამომხმ. კოოპ. კავშირის საერთო ბრუნვა კრიზისის პირველი ორი წლის განმავლობაში (1929—31 წ.) შემცირდა 170-დან 120 მილიონ ზლოტამდე. ჩეხო - სლოვაკიაში სამომხმ. საზოგადოების წევრთა რიცხვი 461.541-დან (1930 წ.) 400.832-დე (1931 წ.) შემცირდა, ხოლო საქონლის ბრუნვა 1.319,07 მილიონიდან 981,39 მილიონ ჩეხურ კრონამდე. დანიაშიც, სადაც სამომხმ. კოოპერაცია შედარებით ფართოდ იყო ფეხმოკიდებული, ვიდრე სხვა კაპ. ქვეყნებში, შესამჩნევია კოოპ. ბრუნვის შეკვეცა და წევრთა რიცხვის შემცირება. 1925 წელს დანიის სოფლის სამომხმ. კოოპ.-ციაში გაერთიანებული იყო 337.500 წევრი, 1931 წელს კი—321.500; რაც შეეხება საქონლის ბრუნვას, დანიის სოფლის კოოპერატივებში იგი შემცირდა 465,34 მილიონიდან (1925 წ.) 131,51 მილიონ დანიურ კრონამდე. (1931 წ.).

შეიძლებოდა კიდევ მოგვეყვანა ციფრები დანარჩენი ქვეყნების სხვა მაჩვენებლების მიხედვით, მაგრამ ესეც საკმარისია იმ კრიზისის სიმწვავის წარმოსადგენად, რასაც ამჟამად ადგილი აქვს კაპიტ. სამომხმ. კოოპერაციაში და რაც ანადგურებს წვრილი მეანაბარეების და მშრომელ მოსახლეობის მილიონებს.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან და რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით, ფაშისტური ბურჟუაზია იყენებს სამომხმ. კოოპერაციას საკუთარი მიზნების განსახორციელებლად, 1-ლ რიგში ფაშისტური დიქტატურის განსამტკიცებლად. ამას ადასტურებს გერმანიის, პოლონეთის, ინგლისის და სხვ. ქვეყნების სამომხმ. კოოპ. კავშირების მუშაობის პრაქტიკა.

გერმანიის სამომხმ. კოოპერაციას აქამდე უმთავრესად სოციალ - ფაშისტები და კათოლიკური პარტიის ლიდერები ხელმძღვანელობდენ. უკანასკნელად, ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის ჩადგომასთან დაკავშირებით, კოოპერაციის ხელმძღვანელობა გადავიდა ნაციონალ - სოციალისტების ხელში, რომლებიც აძლიერებენ შეტევას კოოპერაციაში გაერთიანებულ მუშათა წინააღმდეგ და კოოპერაციიდან აძევებენ კომუნისტებს. ტერორის და სასტიკი დევნის მიუხედავად, გერმანელი კომუნისტები ახერხებენ სამომხმ. კოოპერაციაში მუშაობას, აწყობენ კოოპ. კავშირებში კომუნისტურ ფრაქციებს და სხვ. კომფრაქციის გავლენის ქვეშ მოქცეულია გერმანიის სამომხმ. კოოპერაციის 200 ათასზე მეტი წევრი. ამას გარდა, გერმანიის რევოლიუციური კოოპერაცია, რომელსაც კომპარტია ხელმძღვანელობს, უშვებს ყოველთვიურ „კოოპერატიულ გაზეთს" და თავის ირგვლივ იკრებს ბურჟუაზიულ კოოპერაციაში გაერთიანებულ, მაგრამ უკვე იმედგაცრუებულ მშრომელ მასებს.

სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანოებში გერმანელი ფაშისტების გავლენის გაძლიერებაზე მიუთითებს შემდეგი ფაქტიც: საერთაშორისო კოოპ. კავშირის აღმასკომის ა.-წ. აპრილის სესიაზე გერმანიის სამომხმ. კოოპ. კავშირმა წარადგინა წერილობითი მოხსენება და მოითხოვა აღმასკომის ჩაურევლობა გერმანიის კოოპ. მუშაობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, გერმანელი ფაშისტი კოოპერატორები იმუქრებოდენ საერთაშორისო კავშირიდან გასვლით.

პოლონეთის სამომხმ. კოოპ. კავშირის ხელმძღვანელები (წვრილბურჟუაზიული „ნეიტრალიზმის" წარმომადგენლები და სოციალ-ფაშისტები) მჭიდრო კავშირში არიან და აქტიურად თანამშრომლობენ პილსუდსკის ფაშისტურ მთავრობასთან; რევოლუციურ ოპოზიციას, პოლონეთის კოოპერაციაშიც შესამჩნევი გავლენა აქვს მოპოვებული, განსაკუთრებით ქვედა ორგანოებში (ლიუბლინის, დომბროვის ბასეინის და სხვ რაიონებში) და საწარმოო რაიონებში.

ძლიერია რევოლიუციური პროფოპოზიცია **ჩეხო - სლოვაკიის** სამომხმ. კოოპერაციაში, სადაც კომპარტიის ხელმძღვანელობით მოწყობილ პროლეტარული ოპოზიციის გავლენის ქვეშ მოქცეულია კოოპ. წევრთა საერთო რაოდენობის 50 პროც. მეტი. კომუნისტები ხელმძღვანელობენ უდიდეს კოოპერატივებს, როგორიცაა კოოპერატივი „ვჩელა" პრაღაში (აერთიანებს 70 ათას წევრს), „წინ" — რეიხენბურგში (აერთიანებს 8 ათას წევრს) და ჩეხო - სლოვაკიის სამრეწველო რაიონების სხვა კოოპერატივები.

განსაკუთრებული აქტიობით კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოირჩევა ფინეთის სამომხმ. კოოპერაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ყოფილი მინისტრი-პრეზიდენტი, სოციალ-ფაშისტი (ტანნერი, საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერი. (ახლა საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის თავმჯდომარეა). ფინეთის ფაშისტები და სოციალ - ფაშისტები ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ სამომხმ. კოოპერაციაში კომუნისტების გავლენის აღმოსაფხვრელად. ფინეთის კოოპ კავშირის გენერალურ საბჭოს ხელმძღვანელობენ უმთავრესად კულაკების წარმომადგენლები 1931 წელს, ლაპუასების (ფინელი ფაშისტები) ლაშქრობის დროს, ფინეთის სამომხმ. საზოგადოებები აგროვებდენ თანხებს ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ. ეს მაგალითი მიუთითებს სამომხ. კოოპ. როლზე ფაშისტური დიქტატურისათვის ბრძოლაში.

„სამომხმარებლო კოოპერაციის საშუალებით, რომელსაც სათავეში უდგანან სოციალ - ფაშისტები და ფაშისტები, ბურჟუაზია ანხორციელებს თავის გავლენას მომხმარებელთა ფართო მასებზე; ამ მიზნით ფაშისტური ბურჟუაზია იყენებს არა მარტო სამომხმარებლო კოოპერაციას არამედ ე. წ. „კოოპერატიულ პარტიასაც და მუშათა კლასის შეუგნებელ და ნაკლებად ღარაზმულ ნაწილში ავრცელებს ილუზიებს ე. წ. „კოოპერატიზმის" შესახებ, რითაც ცდილობს შეანელოს და გაანადგუროს მუშათა ნამდვილი რევოლიუციური მოძრაობა. განსაკუთრებით მოხერხებულად სარგებლობს ამ საშუალებით ინგლისის იმპერიალისტური ბურჟუაზია, რომელიც იყენებს ინგლისის კოოპერატიული პარტიის 3, მლიონ წევრს. ინგლისის კოოპერატიული პარტია წარმოადგენს წვრილბურჟუაზიულ მასებზე და მუშათა შეუგნებელ ფენებზე ბურჟუაზიული გავლენის გაძლიერების იარაღს, რევოლიუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღს.

იმპერიალისტური ბურჟუაზია სამომხმ. კოოპერაციას იყენებს აგრეთვე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი ომების მოსამზადებლად. სამომხმ. კოოპ. კავშირები ინგლისში, გერმანიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვ. ქვეყნებში მჭიდრო კავშირში არიან სამხედრო სამინისტროებთან, მათი ხელმძღვანელობით მუშაობენ და ამზადებენ ომის პირობებში არმიისათვის საჭირო სხვადასხვა საგნებს. ამავე გზას ადგია საერთაშორისო კოოპ. კავშირიც, რომელმაც არა ერთხელ (უკანასკნელად 1933 წლის აპრილში) უარჰყო საბჭოთა დელეგაციის წინადადება ახალი იმპერიალისტური ომების მზადების წინააღმდეგ ბრძოლის მოწყობის შესახებ და რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ახალი ომების მომზადების ორგანოში—ერთა ლიგაში.

მაგრამ არავის არ შეუძლია მუშათა რევოლიუციურ მასებს დაუმალოს სინამდვილე და თვალი აუხვიოს. კაპ. ქვეყნების სამომხმ. კოოპერაციაში შეკავშირებულ მშრომელებს და პირველ რიგში მუშებს, საკუთარი გამოცდილება არწმუნებს, რომ კაპ. კოოპერაცია წარმოადგენს მშრომელთა ექსპლოატაციის იარაღს ბურჟუაზიის ხელში. ამ რწმენასთან ერთად იზრდება რევოლიუციური კოოპერატიული ფრონტი კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები და რომელიც შესაფერ მომენტში იარაღით ხელში შეუერთდება საერთო რევოლიუციურ ფრონტს იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ვ. მ.

„უმოკლეს ვადაში განვახორციელოთ“

საქ. კ. პ. (ბ) ც.-კის და საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება

რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის შესახებ

ტფილისის რკინის გზელები აქტიურად გამოეხმაურენ ცენტრალურ კომიტეტის და საკავშირო მთავრობის დადგენილებას

სტალინის სახ. სარემონტო ქარხანა

სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის პარტიული კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას „რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის შესახებ“, მიიღო გადაწყვეტილება გულდასმით დაამუშაოს ეს დადგენილება ცეხებში, ბრიგადებსა, და აგრეგატებში.

მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაიწყო. დადგენილების მასობრივი დამუშავება დაიწყება 7 ივლისიდან.

ცნობამ ტრანსპორტზე პოლიტგანყოფილებების სისტემის შემოღების შესახებ სარემონტო ქარხნის მუშებს შორის ცხოველი ინტერესი გამოიწვია და აგრეთვე რწმენა იმისა, რომ ამიერიდან ტრანსპორტის მუშაობის ყველა რგოლი აყვანილი იქნება სათანადო ბოლშევიკურ სიმაღლეზე.

ტფილისის დეპო

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებამ „რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის შესახებ“; ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ტფილისის სადგურის დეპოს რკინის გზელებს შორის. 5 ივლისს, დილის 11 საათზე (დასვენების დროს) დეპოში შესდგა მუშათა სახელდახელო მიტინგები, რომლებზედაც დადგენილების შესახებ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ გამოვიდნენ დეპოს დამკვრელი მუშები ამხ. მანუკოვი, ჩადრანოვი, მაჭარაშვილი და სხვ.

მიღებულ რეზოლუციაში ტფილისის დეპოს რკინისგზელ მუშათა კოლექტივი ესალმება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას, რომელმაც გადამჭრელი როლი უნდა შეასრულოს რკინის გზის ტრანსპორტის მთელი მუშაობის გარდაქმნის, რკინისებური დისციპლინის დანერგვის და ტრანსპორტის თავით ბოლომდის ყველა რგოლის მუშაობის ამაღლების საქმეში. დეპოს რკინისგზელ მუშათა კოლექტივი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს ყოველგვარი ზომები იმისათვის რომ ეს დადგენილება მთლიანად იქნეს განხორციელებული უმოკლეს ხანში. (ადს).

ტფილისის რკ. გზის კვანძში

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს, და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის შესახებ“, არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით და ენტუზიაზმით შეხვდენ ტფილისის რკინის გზის კვანძში. საწარმოების უმრავლესობაში — ცეხებში, დეპოს ბრიგადებში, სახელოსნოებსა, დირექციისა და მეორე რაიონის სამმართველოს განყოფილებებში დასვენებისა და მუშაობის დამთავრების შემდეგ, შესდგა მრავალრიცხოვანი სახელდახელო მიტინგები, რომლებზედაც მოსმენილი იქნა პასუხისმგებელი მუშაკების მოხსენებანი და ახსნა - განმარტებები დადგენილების ძირითადი საფუძვლების შესახებ.

მიტინგები ჩატარდა კვანძის რკინისგზელი მასების ფართო აქტიობის და მობილიზაციის ნიშნით.

მოკლე რეზოლუციებში, ა.-კ. რკინის გზის მუშები ესალმებიან რა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, გადაწყვეტილებას რკინის გზის ტრანსპორტზე, პოლიტგანყოფილებების შექმნის შესახებ, სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლის საფუძველზე, აღუთქვამენ გადამჭრელი ბრძოლის წარმოებას შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მოძრაობის უშიშროებისათვის და სხვ.

პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე გააჩაღეს ფართო მუშაობა „რკინის გზის ტრანსპორტის შესახებ“ საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ორგანიზაციულ - მასობრივი დამუშავების მომზადებისათვის. (ადს).

კალიაევის აღმართის გაფართოება

1932 წელს ტფილისის საბჭომ დაიწყო კალიაევის სახელობის აღმართის გასაფართოებელი სამუშაოები. კალიაევის აღმართი ავლაბრის [illegible] რაიონს აკავშირებს ქალაქის ცენტრთან.

აღმართის გაგანიერების გეგმა ითვალისწინებს მისი სიგანის გადიდებას 8—10 მეტრიდან 24 მეტრამდის მთელ მანძილზე, თვით კახეთის მოედნამდის. კალიაევის აღმართის დიდი დაქანება, რომელიც 9 პროცენტამდის აღწევს, 5 პროცენტამდის იქნება დაყვანილი.

აღმართის გაფართოება წარმოებს რიყის ქუჩის ხარჯზე საბჯენი კედლის აგების საშუალებით.

ამჟამად ახალი საყრდენი კედლის აგების სამუშაოები შესრულებულია 70 პროცენტით; ამასთანავე აღმართის ბოლოს მოწყობილია რვამალიანი ესტაკადა. მიმდინარე წელს აღმართის გასაფართოებელი სამუშაოებზე დაიხარჯება 200 ათასი მანეთი.

აღმართის გასაფართოებელი სამუშაოები მთლიანად დამთავრდება 1934 წელს.

კალიაევის აღმართის დაქანების შემცირება საშუალებას მოგვცემს ავლაბარში იმოძრაოს ტრამვაიმ მისაბმელი ვაგონებით, რაიც შესამჩნევად გაადიდებს მის ტვირთის გამტარუნარიანობას (ადს).

ტფილისის ჰაეროპორტს გადაეცა თვითმფრინავი „ბორჯომი“

გუშინ, საღამოს 5 საათზე, ბორჯომის პროლეტარიატმა სამოქალაქო ავიაციის ტფილისის ჰაეროპორტს გადასცა ინჟ. კალინინის კონსტრუქციის რვაადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი—„კ 5“.

ბორჯომის რაიონის მუშებმა დროზე და სათანადოთ შეაფასეს სამოქალაქო ავიაციის განვითარების უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა, ფართედ გაშალეს აგიტმასიური მუშაობა ავიაციის ფონდის გაძლიერებისათვის და ამ ფონდის გასაძლიერებლად გამოცხადებულ ერთთვიურის განმავლობაში შესძლეს თავიანთი ძიერ შეგროვილი სახსრებით ერთი თვითმფრინავის აგება.

თვითმფრინავის გადასაცემად გუშინ ტფილისში ჩამოვიდა ბორჯომის რაიონის საწარმოების მუშათა დელეგაცია 14 კაცის შემადგენლობით ბორჯომის სარაიონო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზ. ადამაშვილის ხელმძღვანელობით.

დელეგაციას ჰაეროდრომზე დახვდა მთავრობისა და სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს კომისია ამხ. შომახიას, იჯლონის, დავიდოვის და კილაძის შემადგენლობით, რომელმაც მიიღო თვითმფრინავი მუშათა დელეგაციისაგან და ჩააბარა იგი მფრინავ ვლადიმეროვს.

მუშათა დელეგაციამ დაათვალიერა ჰაეროდრომი. სასოფლო-სამეურნეო ავიაციის უფროსმა ამხ. გოგი დავიდოვმა დელეგაციის წევრებს გააცნო თვითმფრინავების აგებულობა და ის დიდი სამსახური, რომელსაც ავიაცია უწევს ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებს, კერძოთ, სოფლის მეურნეობას მავნებლებთან ბრძოლაში, თესვაში და სხვ.

საღამოს 6 საათზე ჰაეროპორტმა ახლად მიღებული თვითმფრინავით მოაწყო ბორჯომის მუშათა დელეგაციის ფრენა ტფილისზე.

გაიხსნა საჰაერო გზა ტფილისი ერევანი

გუშინ გაიხსნა ტფილის-ერევნის უმოკლესი საჰაერო გზა ყარაქილისზე გადავლით. ეს ტრასა გუშინ პირველად გადალახეს საკავშირო სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსმა ამხ. პეტროვმა და ა.-კ. სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსმა ამხ. სერგეევმა. მანქანა „კ 5“, ტფილისის ჰაეროდრომიდან ერევნისკენ გაფრინდა გუშინ დილის 10 ს. და 45 წუთზე. ერევანში მიფრინდა 12 საათზე, ე. ი. 1 ს. და 15 წუთის განმავლობაში.

ამხ. პეტროვს და სერგეევს მოლაპარაკება ჰქონდათ სომხეთის მთავრობასთან აღნიშნული საჰაერო გზის შესახებ. მოლაპარაკების შემდეგ მფრინავებმა ისადილეს ერევანში და საღამოს 4 საათსა და 45 წუთზე გამოფრინდენ ტფილისისაკენ. თვითმფრინავი ტფილისის ჰაეროდრომზე მოვიდა საღამოს 5 ს. და 40 წუთზე, ანუ ერთი საათის განმავლობაში.

საკავშირო სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსმა ამხ. პეტროვმა ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: უკანასკნელ ხანამდის განმტკიცებული იყო აზრი, რომ საჰაერო მიმოსვლა ტფილისა და ერევანს შორის შესაძლებელია მხოლოდ ლენინაკანზე გადაფრენით, რაც ერთი საათზე მეტით ახანგრძლივებს გზას. ახლა კი გამოირკვა, რომ პირდაპირი ხაზი ყარაქილისზე, თუმცა ძნელი გზაა, მაგრამ ჩვენი მანქანებისათვის სრულიად ადვილად დასაძლევია. სომხეთის მთავრობასთან უკვე დადებულია სათანადო შეთანხმება და 15 ივლისიდან დაიწყება რეგულიარული მიმოსვლა ახლადგახსნილ გზაზე. 15 ივლისამდის იწარმოებს ტრასის ათვისება ჩვენი მფრინავების მიერ, რა მიზნითაც მფრინავები სისტემატიურად მოაწყობენ საცდელ ფრენას ახლადგახსნილ გზაზე. ერევნის ჰაეროპორტი თითქმის უკვე მზად არის. ერთ თვეში დამთავრდება სადგურის აგება და რადიო მოწყობილობას დადგამენ.

ტფილის-ერევნის ახალ უმოკლეს საჰაერო გზას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი შესაძლებელს ხდის ტფილის ერევანს შორის ორი რეისის მოწყობას ერთი დღის განმავლობაში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ტრანსკავკასიის საჰაერო გზაც კავკასიონის ქედზე გადაფრენით უახლოეს ხანში გაიხსნება, შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ჩვენ ერთ დღეში შევძლებთ ერევნიდან მოსკოვს გადაფრენა.

თხილამურებით 4.500 მეტრის სიმაღლეზე

საქ. პროლეტ. ტურიზმის საზოგადოების სამთო სექციის ჯგუფმა ამხ. გ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით შეასრულა თხილამურებით ძნელი და საინტერესო მოგზაურობა ყაზბეგის რაიონში. ჯგუფში შედიოდნენ: შ. მაჭაშვილი, ტ. ბილხუჩი, ლ. მარუაშვილი, ვ. მალოვიჩკო. ჯგუფი ორწვერის ყინვარით ავიდა „იაგორას ნიშზე“ და იქ დაბანაკდა 3.900 მეტრის სიმაღლეზე. ქარბუქმა და ნისლმა აიძულა ჯგუფის მონაწილენი ერთი დღე კარავში გაეტარებინათ. 29 ივნისს თხილამურებით განვლილ იქნა ფირნის მინდორი. ჯგუფმა შემოუარა მყინვარის წვერის კონუსს და ავიდა მაღალ ზეგანზე 4500 მეტრი ზღვის დონიდან). ძლიერ ნისლში ჯგუფი შეცდომით მოხვდა ჩათას ყინვარზე და მხოლოდ კომპასის მეოხებით მოახერხა უკან გზის გამოგნება.

ჯგუფმა დაათვალიერა და ადგილობრივ შეისწავლა ყველა ადგილები, სადაც განზრახული იყო ტურისტების ქოხის აგება. მაილის უღელტეხილი, რომელიც გადალახა ჯგუფმა, წარმოადგენს კავკასიონის უმაღლეს უღელტეხილს, რომელსაც ეწვივნ მეთხილამურენი დღემდე.

საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტში ასპირანტების მიღების პირობები

1933 წლისათვის

1. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის სამეცნიერო - საგამომკვლევო ინსტიტუტი ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის ხელმძღვანელ მუშაკებს, საგეგმო - ეკონომიური და სავაჭრო - პოლიტიკური მუშაობისათვის, და აგრეთვე საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის სისტემაში საცდელ - საგამომკვლევო და პედაგოგიური მუშაობისათვის.

2. სწავლების ვადა—3 წელი.

3. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის სამეცნიერო - საგამომკვლეო ინსტიტუტში 1933 წელს მიღებული იქნება ასპირანტები შემდეგ სექციებში:
- ა) სავაჭრო - პოლიტიკურში;
- ბ) აღმოსავლეთის სექციაში;
- გ) საქონლის:
- დ) საფინანსო;
- ე) საფრახტო;
- ვ) სამართლის;
- ზ) სტატისტიკის;
- თ) უცხოეთის ფირმების.

4. ასპირანტთა შემადგენლობაში დაიშვებიან მხოლოდ საქ. კ.პ. (ბ) წევრები, რომელთაც აქვთ ცოდნა უმაღლესი სასწავლებლის ფარგლებში და პარტსტაჟი მუშებისათვის 5 წელი, მოსამსახურეებისათვის—8 წელი, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საკ. კ.პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის, საკ. კ.პ. (ბ) საოლქო კომიტეტების და საკ. კ.პ. (ბ) მოსკოვის რაიკომებიდან მოვლინებით; ხნოვანობა არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს. სავალდებულოა ერთი უცხო ენის ცოდნა.

5. განცხადებების შემოტანის ვადა—15 აგვისტომდე. განცხადებას მიღების შესახებ დაერთვის: ა) შემოწმებული ავტობიოგრაფია, ბ) პარტორგანიზაციის რეკომენდაცია, გ) საბუთი განათლების შესახებ, დ) საბუთი სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ, ე) ნაბეჭდი ნამუშევარი (თუ ასეთი აქვს), ვ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

კანდიდატები, რომლებიც გატარდებიან სამანდატო კომისიაში, გაივლიან გამოცდებს უმაღლესი სასწავლებლის ფარგლებში პოლიტეკონომიაში, ეკონომიურ პოლიტიკაში, დიალექტიკურ მატერიალიზმსა და ლენინიზმში და ერთ უცხო ენაში. გამოცდები ჩატარებული იქნება 15-დან 30 აგვისტომდე.

ასპირანტურაში ჩარიცხულნი სტიპენდიებს მიიღებენ წარმატების მიხედვით 200-დან 300 მანეთამდე თვეში და უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით (მოსკოვში მცხოვრებ ოჯახის წევრთა გარდა).

ინსტიტუტი არ კისრულობს არავითარ ვალდებულებას სხვა ქალაქებიდან ჩამოსულთა მგზავრობისა და შენახვისათვის გამოცდების დროის განმავლობაში.

მისამართი: მოსკოვი, გორკის ქ. 56, ტელეფონი 1—71—41, 4—45—25.

საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის სამეცნიერო - საგამომკვლევო ინსტიტუტის
დირექცია.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთა და სამხედრო ვალდებულთა და მათი ოჯახების შეღავათების და უზრუნველყოფის თაობაზე გამოცემული კანონების აღსრულების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

მოისმინა რა ამხ. ვ. ვაშაკიძის მოხსენება მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთა, სამხედრო ვალდებულთა და მათი ოჯახების შეღავათებისა და უზრუნველყოფის თაობაზე გამოცემული კანონების აღსრულების შესახებ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. მ.-გ. წითელი არმიის სამხედრო მსახურთა და სამხედრო ვალდებულებათა და მათი ოჯახების შეღავათების განხორციელების საქმეში ადგილი აქვს თვალსაჩინო გარდატეხას, რაც გამოიხატება შემდეგში:

ა) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების, რაიაღმასკომების, ქალაქისა და სოფლის საბჭოების პრეზიდიუმების შემადგენლობიდან, აგრეთვე ცენტრალური რესპუბლიკანურ დაწესებულებებში გამოყოფილი არიან განსაკუთრებული პირები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა და პასუხისმგებლობა წითელარმიელთა და მათი ოჯახების შეღავათებისა და დახმარების შესახებ არსებული კანონების განხორციელებისათვის.

ბ) ცენტრალურ რესპუბლიკანურ დაწესებულებებში გამოყოფილი პასუხისმგებელი პირები აწარმოებენ ადგილობრივი მომუშავეების ინსტრუქტაჟის და მათ მიერ ჩატარებულია რესპუბლიკანური საინსტრუქტორო თათბირი.

გ) საქართველოს 11 რაიონში, სახელდობრ: 1. ქუთაისი, 2. ხონი, 3. სამტრედია, 4. ტყიბული, 5. ბაღდათი, 6. ვანი, 7. ზესტაფონი, 8. ხარაგოული, 9. ჭიათურა, 10. ოზურგეთი და 11. ლანჩხუთი, მოხდენილ იქნა ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის გამოკვლევა სამხედრო მსახურთა, სამხედრო ვალდებულთა და მათი ოჯახების შეღავათების სფეროში;

დ) სამხედრო მსახურებსა და სამხედრო ვალდებულებთან და მათ ოჯახებთან დამყარებულ იქნა მჭიდრო კავშირი და მოწყობილი მათთვის რეალური დახმარების გაწევა.

2. ამასთანავე სს ცაკის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ:

ა) ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ რაიონებში ამ საქმისადმი არა საკმაო ყურადღებას—რაიაღმასკომების, სახელმწიფო პროკურატურისა და სასამართლოს მხრივ, განსაკუთრებით კი სამხედრო კომისარიატების მხრივ, რომლებიც სამხედრო მსახურთა და სამხედრო ვალდებულთა და მათი ოჯახების შეღავათების გატარებას არ აძლევენ სათანადო პოლიტიკურ მნიშვნელობას (ქუთაისი და სხვ.).

ბ) მიუხედავად იმისა, რომ კრედიტების გახსნის მხრივ დაბრკოლებას არ ქონია ადგილი, ზოგიერთ ადგილებზე კუთვნილი ფულადი დახმარება წითელ არმიელთა ოჯახებს 3—4 თვის (ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი) და ზოგან კი თითქმის ორი წლის (ზემო სვანეთი), მიუღებელი აქვთ. ზოგიერთ რაიონში ადგილი ქონდა წ-არმიელთა ოჯახებისათვის გადაგზავნილი თანხების არა დანიშნულებისამებრ დახარჯვას (ზემო სვანეთი) და მითვისებას (თელავი).

გ) ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მხრივ შეღავათების კანონების დამრღვევ თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მიცემის საქმე; ამ მხრივ განსაკუთრებით სუსტათაა დაყენებული საქმე თელავის და ქუთაისის რაიონებში.

დ) საქ. ცაკის პრეზიდიუმი 1932 წლის 15 მარტის და საქ. კ.პ.(ბ) ცეკას 1932 წ. 22 მაისის დადგენილებების შრომისა და სოც. უზრუნველყოფის ინსპექტორების განცალკევების შესახებ და შესაფერი კადრების შერჩევის თაობაზე, ფინსახკომისა და მთელი რიგი რაიონის აღმასკომებისა და ქალაქის საბჭოების მიერ სისრულეში არ არის მოყვანილი.

ზემოაღნიშნულის მიხედვით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს;

1. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომებს და ქალაქის საბჭოებს, სადაც ჯერ კიდევ არაა გამოყოფილი პრეზიდიუმის წევრები მ.-გ. წითელი არმიის სამხედრო მსახურთა, სამხედრო ვალდებულთა და მათი ოჯახებისა და უზრუნველყოფის თაობაზე არსებული კანონების აღსრულებისათვის კონტროლის გასაწევად სს ცაკის პრეზიდიუმის 1932 წ. ნოემბრის 22-ის დადგენილების საფუძველზე, გამოჰყონ ა.-წ. მაისის 30-მდე ასეთები და გამოყოფილი პირების სახელები და გვარები აცნობონ სრ. საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის წევრს ამხ. ვ. ვაშაკიძეს.

2. წინადადება მიეცეს საქ. ფინსახკომს და რაიაღმასკომებს ა.-წ. ივნისის 1-მდე მოიყვანონ სისრულეში სრ. საქართვ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება შრომისა და სოც. უზრუნველყოფის სარაიონო ინსპექტორების განცალკევების შესახებ.

3. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომებს და ქალაქის საბჭოებს ა.-წ. ივნისის 1-მდე გადასინჯონ სოც. უზრუნველყოფის ინსპექტორების კადრები, მოხსნან სუსტი და ცუდგრილად მომუშავენი თანამდებობიდან და მათ მაგიერ შეარჩიონ მომზადებული და ენერგიული პირები.

4. დაევალოს ამხ. ვ. ვაშაკიძეს პერიოდულად მოიწვიოს ცენტრალურ დაწესებულებაში გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთა თათბირები და შეამოწმოს რაიონებში და ქალაქებში მათ მიერ შესრულებული მუშაობა სამხედრო მსახურთა და სამხედრო ვალდებულთა შეღავათების გატარების ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევის დარგში.

5. დაევალოს ამხ. ვ. ვაშაკიძეს სისტემატიურად შეამოწმოს ადგილებზე სოც. უზრუნველყოფის ინსპექტორების მუშაობა და ამ მუშაობაში აღმოჩენილი დეფექტების გამოსასწორებლად მიიღოს გადამჭრელი ზომები ადგილებზედვე. მასვე დაევალოს ჩაატაროს სამხედრო კომისრების და სოც. უზრუნველყოფის ინსპექტორების სარაიონთაშორისო თათბირები წითელ არმიელთა ოჯახებისათვის ფულადი დახმარების გაცემის საქმის მოწესრიგების მიზნით.

6. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს გამოარკვიოს მასზედ დაქვემდებარებულ ორგანოების წარმოებაში მყოფი საქმეების მსვლელობა შეღავათები კანონების დარღვევების შესახებ და ზომები მიიღოს ამ საქმეების ა.-წ. 15 ივნისამდე გარჩევისათვის.

7. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს და რაისამხედრო კომისრებს თვალყური ადევნონ სამხედრო მსახურთა და სამხედრო ვალდებულებათა ოჯახებისათვის ყოველთვიური ფულადი დახმარების დანიშვნის საქმეს.

8. დაევალოს ამხ. ვ. ვაშაკიძეს თვალყური ადევნოს ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას და მოხსენება ამის შესახებ კვარტალურად წარმოუდგინოს სს ცაკის პრეზიდიუმს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—**თ. ჟღენტი.**

1933 წ. მაისის 27.
ტფილისი.

ქვანახშირის ამოღება

(ტონებში)
(3 ივლისს)

შახტი	დავალება	შესრულება	პროცენტი
ლენინის	400	150	37,5
სტალინის	590	234	40
თიხნარის	170	61	36
სულ	1.160	445	38,3

მარგანეცის ამოღება და გარეცხვა

(3 ივლისს)

3 ივლისს ამოიღეს 3.075 ტონა მარგანეცი, გეგმის 82,1 პროც. გარეცხეს 1.345 ტონა, გეგმის 70,6 პროც.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

8 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ტრამვაის მუშათა კლუბში მოწვეულია **სტალინის სახელობის რაიონული საკონტროლო კომისიის მორიგი პლენუმი** პარტაქტივთან და მუშგლეხინის აქტივთან ერთად.

დღის წესრიგი: 1. პარტწმენდისა და მისი მოსამზადებელი მუშაობის შესახებ.
2. რაიონული საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის მუშაობის შესახებ 1933 წლის პირველ ნახევარში.
3. საორგანიზაციო საკითხები.

სტალინის სახ. რაისაკ. კომისიის თავმჯდომარე **ლომიძე.**

—:—

8 ივლისს, საღამოს 8 საათზე ორჯონიკიძის სახ. რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება საწარმოო უჯრედების პარტგანათლების ქსელის პროპაგანდისტთა სემინარების, სკოლებისა და წრეების ხელმძღვანელთა საორგანიზაციო თათბირი. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

10 ივლისს სტალინის სახ. საკ. კომისიის პარტკოლეგიის სხდომაზე ირჩევა შემდეგი ამხანაგების საქმეები: ტასო კასუროვის, ნაილით უსინინის, აშხენ ოსიპოვის, ესე ბიბილოვის, ნატალია კაზალაშვილის, კაპანაძის, ზარდიაშვილის (მოფერი), ზემოაღნიშნულ ამხანაგებისათვის სხდომაზე დასწრება სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი საქმეები გაირჩევა მათ დაუსწრებლად.

გამოვიდა და ერიგდება ხელისმომწერლებს
ჟურნალი „ბოლშევიკი“ № 5.
შინაარსი:
1. ნათესების დამუშავებისა და მოსავლის აღების ბოლშევიკურად ჩატარებისათვის.
2. გ. ხომერიკი—საქართველოს სახალხო მეურნეობის გეგმა 1933 წლისათვის.
3. დ. კომახიძე—ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის.
4. გ. ხაჭაპურიძე—თებერვალ-მარტის რევოლიუცია და ქართველი მენშევიკები.
5. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მასალებიდან.
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია:
6. ნ. ჯინჯარაძე—რევოლიუციონური მარქსიზმის პროგრამული დოკუმენტი.
7. კ. მარქსის გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულების აღსანიშნავად მოწყობილი გამოფენის შედეგები.

მხოლოდ ერთხელ საოპერო თეატრში 6 ივლისს
სახალხო და დამსახურებულ არტისტთა მიერ წარმოდგენილი იქნება
სახალხო არტისტის კ. ფოცხვერაშვილის
აშენდა საქართველო
მანუჩარის როლში—კ. ფოცხვერაშვილი.
ივანიკას როლში—მ. გელოვანი.
პიესაში—ცეკვა, დეკლამაცია, სიმღერა. დასაწყისი 8 1/2 ს. 2-2 74

სახკინმრეწვის კინო-თეატრები:

საზაფხულო	ეთერი 9, 11	საქ. სახკ. ნაწარმ. სურამის ციხე პრ. გარ.—საქ. ჟურნ. № 14
	დამკვრელი 9, 11.	ლ. ტოლსტოის რომანის მიხედვით კოშკლი ბატონი. პრ. გ. სადარაჯოზე №5
	ტემპი საზ. 9, 11. საზამთ. 7,9,11	უკანასკნელი დღეები კაცი რომელიც იცინის
საზამთრო	კომინტერნი (დიდუბე) 9. 10-30	სამი სიცოცხლე 1-ლი სერია. პრ. გარ. სკყ № 19.
	ოქტომბერი 7, 8-45, 10-30.	საქ. სახკ. ნაწარმ. სურამის ციხე პრ. გარეშე—საქ. ჟურნ. № 11.
	დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 11.	გაროლდ ლოიდის მონაწილეობით მეზღვაური პრ. გ. შახმატით გატაცება
	რ. ლიუქსემბურგის 7, 8-45, 10-30,	მხატ. სურათი ტრიპოლის ტრაგედია პროგრ. გარ.—სკყ № 13.
	სპარტაკი 7-30, 9 10-30	ძის-მენდ მე-3 სერია პროგრ. გარ.—გამარჯვებათა სესხი
	საბავშვო კინო დღის 12 და 2 საათზე	ახალი ფილმი პიონერი
	მეცნიერება და ტექნიკა 8, 9-30	სამეცნიერო ფილმი სიცოცხლის საიდუმლოება

7 ივლისიდან სახკინმრეწვის კინო-თეატრებში
ტემპი საზაფხულო და ზამთრის
იგორ ილინსკი, ვ. ფოგელი, ი. ჩუვცევი, საუცხოვო კომედიაში
ტიკინა მილიონებით
სეანსები საზაფხულო კინოში 9, 10-30 ს.
საზამთრო კინოში 7-30, 9, 10-30 ს.
სურათის ჩვენების დროს დაუკრავს სიმფონიური ორკესტრი ვ. გოკიელოვსკის ხელმძღვანელობით.

რ. ლიუქსემბურგის სახ. კინო-თეატრი
ახალი სამხატვრო ფილმი
საუცხოვო კარიერა
მთავარ როლებში: ელენა ეგოროვა, ვ. გარდინი.
პროგრამის გარეშე სოიუზკინოს ჟურნალი № 13
სეანსების დასაწყისი 7 30, 9 10-30.

არტ. „მკერავთა-გაერთიანება“-ს გამგეობა ინდივიდუალურ შემკვეთლებს
საყურადღებოდ აცხადებს შემდეგს:
არტელის წერტებში თვეობით დაგროვილია კაცის და ქალის შესრულებული შეკვეთები. ამისათვის განმეორებით წინადადება ეძლევათ ქვემოდ ჩამოთვლილ შეკვეთის №№ პატრონებს, ერთი კვირის განმავლობაში გაიტანონ თავიანთი შეკვეთები. წინააღმდეგ შემთხვევაში ტანისამოსი გაიყიდება კოოპერატიულ ფასებში.
№№ 441, 251, 1869, 434, 1384, 531, 1925, 386, 272, 547, 616, 348, 1806, 361, 265, 266, 106, 113, 169, 334, 1205, 12, 42, 177, 327, 159, 334, 290, 1603, 380, 1778, 1777, 80, 4, 330, 182, 90, 211, 175 და სხვა.
84 გამგეობა.

7 ივლისს, საღამოს 7-ნახ. საათზე, გამოყენებითი ქიმიის ა-კ ინსტიტუტის აუდიტორიაში (კამოს ქ. № 34/36) განმეორებით მოწვეულია ქიმიკოსთა სამეცნიერო-საინჟინერო ტეხნიკური საზოგადოების საერთო საქალაქო კრება

საღამოს 8 საათისათვის ქვორუმის შეუკრებლობის შემთხვევაში, შეკრებილთა რიცხვის მიუხედავათ კრება ჩაითვლება კანონიერათ.

დღის წესრიგი:
1) ქიმიური კადრების პრობლემა სახალხო მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით. ამხ. ლლონტის მოხსენება, 3 მ. ქაქაბაძის თანამოხსენება.
2) ქიმიკოსთა სამეცნიერო-საინჟინერო ტექნიკური საზოგადოების ორგბიუროს მოხსენება,
3) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
შესვლა თავისუფალია.
80 ქიმიკოსთა სამ.-საინჟ. ტეხნ. საზ-ბის ორგბიურო.

ტფილისის ქალაქის რკინის გზების ტრესტი (ტრამვაი) ამით აცხადებს, რომ ა/წ. 10 ივლისიდან
იხსნება ვატმანების თვე-ნახევრიანი მოსამზადებელი კურსები.
კურსებზე მიიღებიან როგორც მამაკაცები, ისე ქალები 20 წლიდან 40 წლამდე. კურსების მსმენელებს სწავლების პერიოდში მიეცემათ სტიპენდია, სასურსათო წიგნაკები მუშის, ტრამვაის ხაზზე უფასო სამგზავრო ბილეთი და მიმაგრებულნი იქნებიან მუშათა დახურულ კოოპერატივზე და სასადილოზე.
განცხადებასთან ერთად საჭიროა შემდეგი საბუთები:
მეტრიკული ამონაწერი, ორი ფოტოგრაფიული სურათი, ცნობები უკანასკნელ სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ და ბინის მარაგ სამეულების ცნობები მისამართის სწორი აღნიშვნით.
განცხადების მიღება სწარმოებს ყოველ დღე გარდა გამოსასვლელ დღეებისა დილის 8 საათიდან შუადღის 4 საათამდე შემდეგი მისამართით: მუშტაიდის შესახვევი № 8, ტრამვაის სამმართველოს შენობა ოთახი № 7, კადრების განყ. გამგე ამხ. შ. ქ. მახარაძესთან.
ქალ. რკ. გზების ტრესტის დირექტორი: რაზმაძე.
4/VII 33 წ. ნ. 137 კადრების განყ. გამგე: შ. ქ. მახარაძე

სოიუზტრანსის საქართველოს დირექცია აუწყებს
იმ განსაზოგადოებულ სექტორის დაწესებულებებს, რომელნიც სარგებლობენ, თანახმად მათთან დადებულ ხელშეკრულებისა, დირექციის მოსამსახურეობით. რომ 15 ივლისიდან მათთვის ყველა განყოფილებებში, რომელნიც აწარმოებენ საავტო-მანქანო და საჭაპანო გადაზიდვებს, სატრანსპორტო საექსპედიციო და საწყობის ოპერაციებს, შემოღებულია წესი გაანგარიშებისა, რომლითაც ყველა გადასახადები როგორიცაა რკინის გზის ტარიფი და სხვა გადასახადები და აგრეთვე სოიუზტრანსის სასარგებლოთ გადასახადები იწარმოებს მხოლოდ კლიენტების სალიმიტო - სატრანსპორტო წიგნაკებიდან ამოწერილ ჩეკებით.
დირექცია წინადადებას იძლევა აიღოთ სახელმწიფო ბანკის ფილიალებში და გადასცეთ სოიუზტრანსის სათანადო განყოფილებებს აღნიშნული სალიმიტო ჩეკების წიგნაკები, ამ ჩეკებზე ხელის მოწერის უფლებასთან ერთად. წიგნაკები უნდა იყვეს ორგვარი:
1) რკინის გზის ტარიფის გადასახადის,
2) სოიუზტრანსის სასარგებლოთ გადასახადის.
ოპერაციები იმ კლიენტებთან, რომელთანაც ხელშეკრულება დადებული არ არის იწარმოებს მხოლოდ ნაღდ ფულზე.
ნ. 136 სოიუზტრანსის საქართველოს დირექცია.

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული საშარდე-სასქესო ორგანოების. სიფილ. და კანის ავადმყოფ. დილ. 9—12 ს. საღ. 6—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“, ყ. „ნოე“-ს) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახ. № 8.
25—15

ექ. ს. დ. დილბანძე
სპეც. შარდ-სასქესო, ვენერიული და კანის სნეულებანი. მწვავე და ქრონიკ. სუსუნატი და სქესობრივი უძლურების მკურნალობა
მიღ. საღ. 6-9 ს. თეატრალური შეს. № 11 (ბ) საქ. ოპერის თეატრის გვერდით. 13—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილის და პირის სნეულებათა მკურნალ. პლომბები. კბილების უმტკივნეულოდ ამოღება ყოველგვარი ხელოვნ. კბილების ჩასმა. ავადმყოფ. მიღება 10—3 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34, რუსთაველის გამზ. კუთხე.
25—10

ს. ა. დიშელი, ა. ვ. მიქაბერიძე
დაამთავრა პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტები.
სახის სილამაზის მოვლა
რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეკზემას, აკნეს, თმის გაცვენას, ქერტლს და სხ. ძნელაძის ქ. № 22,
13—4
პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ-ოპთიკ. ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ ძნელაძის ქ. (ყოფ. საპიორის) 19, იღებს დილით 10—1 ს. და საღ. 6—8 ს. შესავალი ძნელაძის შესახვევიდან.
25—11

საქ. სახკინმრეწვი ა/წ. 10 ივლისიდან ხსნის
სასცენარო პრაქტიკუმს
იმ მწერალთათვის, გაზეთის მომუშავეებისათვის და მუშკორებისათვის, რომელთაც სურთ პრაქტიკულად შეისწავლონ კინო-სცენარის წერის ტექნიკა.
მეცადინეობა იწარმოებს მწერალთა კლუბში (მაჩაბლის 3) და სახკინმრეწვში (პლეხანოვის, 164) საღამოობით ხუთ დღეში ორჯელ.
განცხადებები და სიები მიიღება სახკინმრეწვის სასცენარო განყოფილებაში ა/წ. 10 ივლისამდე.
ნ. 138

უახლოესი მეგობრები: ვასო ნანუაშვილი, ალექსანდრე ქავთარაძე და ვალერიან წილოსანი იუწყებიან ზიიფს-ის მეოთხე კურსის სტუდენტის ამხ. დავით ალექსის ძე გაბუნიას მეუღლის
ქეთია ერისთავ-გაბუნიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 7 ივლისს რკ. გზის საავადმყოფოდან. 88

დამწუხრებული ქმარი დავითი შვილით ლინეტათი, მამამთილი ალექსანდრე მეუღლე მარიამით, მაზლი შალვა ცოლით ლიდათი გაბუნიები იუწყებიან უძვირფასესი
ქეთია ერისთავი-გაბუნიას
გარდაცვალებას. გამოსვენება რკინისგზის საავადმყოფოდან 7 ივლისს 4-ნახ. ს. კუკიის სასაფლაოზე. 93

დამწუხრებული დედა ეფემია, ძმა დავითი, დები: ნადეჟდა, ფედოსია, სონია და თამარა, ძმები: ალექსანდრე, ნიკოლოზი ცოლშვილით მწუხარებით იუწყებიან
პალადი დავითის-ძე კობახიძეს
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდა 30 ივნისს ს. ხეთაში. 90

დამწუხრებული ვერა და სერგო კანდელაკები შვილებით ეთერი და მზიათი აუწყებენ საზოგადოებას ტრაგიკულად დაღუპულ დაუვიწყარ ძმის და ბიძის
ვალოდია (ნეპო) ნინუას
სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება დღეს 6 ს. ქ. სამტრედიაში 89

8 ივლისს ახალბედისეულში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ
ნუცა ენუქის ასულ ლორთქიფანიძის
ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც მწუხარებით იუწყებიან დედა ოლია, დები: ელენე თამარი, კატუ, პაშა, რებეკა, სიძე დათიკო. 86

მაკარონის ქ-ნის მუშა მოსამსახურენი მწუხარებას გამოსთქვამენ ძველი მუშის და კომპარტიის წევრის
ანტონ გიორგის-ძე ძამაშვილის
უდროოდ გარდაცვალების გამო. გამოსვენება ბინიდან—ახმეტის № 3, 6 ივლის 4 ს. ავლაბრის სასაფლაოზე. 8

მეგობრები: გიორგი და ასიკო მეწირულები აუწყებენ საზოგადოებას შალიკო ანდღულაძის მეუღლის
ტატიანა კალანდარიშვილი-ანდღულაძის
ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდა სოფ. ბახვში 4 ივლისს. 50

სამუდამოდ გულდამწვარი ბებია [illegible], დეიდაშვილები: ვადასი, შურა ნადირაძეები, ბიძა გალაქტიონ ხუჭუა იუწყებიან, რომ 8 ივლისს სამტრედიაში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უსაყვარლეს
კაკო ლავროს-ძე დოლიძის
ხსოვნის აღსანიშნავად 94

ა-კ. რკინის გზის სატყეო განყოფილების საჩხერის სატყეო მეურნეობა ლჩ/4 მწუხარებით იუწყება ორსის ბუღალტრის
ვალოდია გვადას-ძე არზიანის
უდროოდ და მოულოდნელ გარდაცვალებას. დასაფლავება სოფ. ლეძაძამეში 65

გაუბედურებული მშობლები: ძია დომიკო, ძმები: გერვასი, ბატანგი, სიძე ვარლამი, დაი თამარათი იუწყებიან, რომ 7 ივლისს 6 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ
ვასიკო მინას-ძე მაცაბერიძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 82

დამწუხრებული ამხანაგები: საშა ჯანვერდაშვილი, ვალიკო დარსაძე, ჟ. გიორგობიანი, მანუკოვი, ჩადრანოვი, ემჩინოვი და ვ. წერეთელი იუწყებიან. რომ 7 ივლისს 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ამხ. საშა ჩხეიძის
ხსოვნის აღსანიშნავად 87

დამწუხრებულნი ბიძაშვილები ლონგინოზი, პისტი, ედუკი, ვალია, აბესალომი, ლიდა, მაკრინე ცომაიები, პავლუშა, ელპიტი კაჭარავები დავსტირით
ვალოდია (ვლადიმერი) გვადას-ძე არზიანის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა სოფ. ლეძაძამეში. 73

დედა ელენტი, დები: ოლია, მელიკო, ნინა, მარო, ლიპა, ძმები: ვარლამი, საშა ჩიჩუები ოჯახობით, დეიდაშვილი ვლადიმერ ლორთქიფანიძე იუწყებიან
დავით ალექსანდრეს-ძე ჩიჩუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 7 ივლისს ვერის სასაფლაოზე, გამოსვენება 5 ს. 85

ბიცოლა ივლიტა ჩიჩუასი, ბიძაშვილი ნუცა დიდიასი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ
დავით ალექსანდრეს-ძე ჩიჩუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ტფილისში ვერის სასაფლაოზე 7 ივლისს 5 ს. გამოსვენება ალექსანდროვის საავადმყოფოდან. 85

დამწუხრებული სიძე ე. ტატე, მაზიდა ედესია აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 7 ივლისს 6 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასს და დაუვიწყარ
ვასიკო მინას ძე მაცაბერიძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 82

პროფ. კონსტანტინე ერისთავი ოჯახობით და სერგო ერისთავი ოჯახობით, ვანიჩკა, მარო, იასონ და ალექსანდრე ცინცაძეები, სიმონ კილურაძე ოჯახობით მწუხარებას გამოსთქვამენ
ტატიანა კალანდარიშვილი-ანდღულაძის
გარდაცვალების გამო. 45

საქ. შრომის შემნახველი სალაროების და საკრედიტის საქართველოს სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. კოლია არუთინოვს მისი დედის
სოფიო არუთინოვის
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 6 ივლისს 4 ს. გამოსვენება ხიდისთავის ქ. № 8, ხოჯევანქის სასაფლაოზე. 83

უახლოესი მეგობრები: ვალიკო ჩიჩუა და თიკო გვენეტაძე, დომენტი კოტრიკაძე და სამუილ კიკნაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახალგაზრდა ბოლშევიკის ტფ. ინდუსტრიალურ ტექნიკუმის კურსდამთავრებულ
ალექსანდრე ლეონტის ძე თევზაძის
ტრაგიკულად დაკარგვას.

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ., № 66.

მთავლიტის რწმუნებული ა 1398